

მწყმისი

საქართველოს
საზღვრისა



მე ვარ მწყმისი კეთილი: მწყმისან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შპოვე ცხოვარი ჩემი წაწმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 მივედით ჩემდა ყოველნი მამუჟალნი და ტვირთ-მიმომენი და მე განვიცვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 15—16

1883—1898

1-30 აგვისტო

გ ა ზ ი თ ი ს უ ა ს ი:

„მწყმისი“	„მწყმისი“ რუსული გამოცემით
12 თვით 3 მან.	12 თვით 5 მან.
6 — 2 — 6 —	3 — 3 —

შულისა და წერილების გავაგენა შეიძლება ამ აღრესით:
Въ Кавказѣ, въ редакцїи „Мѣсяца“ и „Пастыря“.

შველა სტატეები და კორესპოდენციები, რომელნიც იქნებთან დასაბუტავათ გამოგაგენილი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყენენ ავტორთაგან ხელ-მოწერილინი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვისი განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანედ დაუბრუნდეს სტატეები მიიღებთან რუსულს ენაზე დაწერილინიც და თარგმნით დაიბეჭდებთან.

ბირველი საგანგებო კრება უწმიდესი სინოდთან სამრევლო სკოლების შესახებ.

კარგა ხანია, გამოცხადებული იყო, რომ ავგისტოს თვეში საგანგებო კრება გამართებოდა უწმიდეს სინოდთან. ამ კრებაზე მოწვეულნი იყენენ სამრევლო სკოლების ყველა ეპარქიების და მარზების მეთვალყურენი. აგრეთვე კრებაზე დასწრების ნება ჰქონდათ სხვადასხვა სასულიერო და საერო უწყების წარმომადგენელ პირთაც. სწორეთ 7 ავგისტოს,

სხენებული კრების გასხნის დღეს, მოველი პეტერბურღში და შეუერთდი კრების წევრთ. დარწმუნებული ვართ, რომ ამ კრების ანგარიში და მოქმედება ყველა სასულიერო პირთათვის საინტერესო და სასარგებლო იქნება და ამიტომ ვესურს რომ ყოველივე ცნობა ამ კრების შესახებ განვუზიაროთ ჩვენ მოამბეთა მწყემსთა-ს საშუალებით... აი კრების მოკლე ანგარიში.

7 ავგისტოს კრებაზე დასასწრებად ყველა მოსული პირები ვაგებავარენ სამრევლო სკოლების უმთავრეს სამასწავლებლო რჩევაში, რომელიც უწმიდეს სინოდთან არის დაარსებული. აქ თითოეული წევრი ჩაეწერა იმ განყოფილებაში, რომელი გან-

ყოფილება (ა სურდა. სულ იყო დანიშნული რვა განყოფილება ანუ რვა კომიტეტი. ამ განყოფილებათ უნდა წინ-და-წინვე შეემუშავებიათ სხვა და-სხვა კითხვები საგანგებო კრებისთვის. პირველ განყოფილებას უნდა შეემუშავებია, თუ როგორ შეიძლება უმჯობესად მოეწყოს საქმე წერა-კითხვის, საკერაო სკოლების და სიაღმიზო მესკანობის საქმე ამ სკოლებში. მეორე განყოფილებას ქონდა მინდობილი შესამუშავებლად ერთ-კლასიანი და ორ-კლასიანი სამაგალითო სკოლების საქმე და აგრეთვე ქალების სწავლა-განათლების საქმე. მესამე განყოფილებას უნდა შეემუშავებია ორ-კლასიანი და სამასწავლებლო სასწავლებლების მდგომარეობა. მეოთხე განყოფილებას უნდა შეემუშავებია კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაერკველოს ხალხში წერა-კითხვა-მეხუთე განყოფილებას უნდა შეემუშავებია კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სკოლის გარეშე სწავლის გაერკვლების საქმე წიგნთ-საკაცების, საკითხველობების და საკითხავების შემწყობით. მეექვსე განყოფილებას უნდა გამოეკვლია კითხვები სამრევლო სკოლების მართვა-გამგეობის და ამ სკოლებში მოსამსახურე პირთა უფლებათა შესახებ. ამავე განყოფილებას დეველებული ჰქონდა გამოეკვლია ისიც, თუ როგორი წესით უნდა წარმოებდეს სამრევლო სკოლებში ეკსამენები და ან რა გზით უნდა ეძლეოდეთ მოსწავლეთ სამხედრო ბეგარის სასაღვათო მოწმობანი, ან როგორ მიიღონ მოწმობა სამრევლო სკოლებში მასწავლებლობისა. მეშვიდე განყოფილებას მიანდევს პედაგოგიური კურსების უმჯობესად მოწყობის საქმე, მერვე განყოფილებას უნდა გამოეკვლია ის, თუ როგორ უნდა იქნეს წყაყანილი სასწავლებლის საქმე მისიონერულ სამრევლო სკოლებში და სხვა-და-სხვა თემის ხალხთა შორის.

ყველა ამ განყოფილებათა გამგებელი და მართველი იყო სამრევლო სკოლების უმთავრესი მეთვალყურე ბატონი ვასილ ივანეს ძე შვიდაკინი. კრების წევრები ეწყობოდნენ იმ განყოფილებაში, რომელსაც თვითონ გამოირჩევდნენ. თითოეული განყოფილება ირჩევდა თავმჯდომარეს თავის წევრთა შორის. ხსენებულნი განყოფილებანი მუყათად მუშაობდნენ და თავის მოსაზრებას უდგენდნენ საგანგებო კრებას, და საგანგებო კრებაც იხილავდა ყველა

აღძრულ კითხვებს, რომელთა შესახებ უნდა ეთრნალებს.

7 აგვისტოს, ნაშუადღევს პირველ საათზე კრების ყველა წევრი შეიკრიბნენ აღმქანდრე ნუველის ლავრაში. აქ პარაკლისი იქმნა გადახდილი აღმქანდრე ნუველის ლუსკუმის წინაშე. პარაკლისი გარდაიხდა უწმიდესი სინოდის წევრმა ყოვლადსამღვდელო გურამ პარაკლესზე დაესწრეს უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი, მისი ამხანაგი ბ. ვ. კ. საბლერი და სხვანი. აქვე ბრძანდებოდნენ ვლადიკავკაზის მღვდელ-მთავარი ყოვლადსამღვდელო ვლადიმირი და სხვა ყოვლადსამღვდელონი.


პარაკლისის გარდახდის შემდეგ კრების ყველა წევრი შეიკრიბნენ ხსენებული ლავრის სატრაპეზო ზალაში. აქ სხდომის გახსნამდე უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი გამოელაპარაკა ზოგიერთ პირთა და მას სასიამოვნოდ ურჩებოდა, რომ ზოგიერთები სიმორცხე არ მორიდებოდნენ და საგანგებო კრებაზე დასასწრებლად მოსულიყვნენ. შემდეგ ყველანი დასდნენ თავიანთ ადგილებზე და ვალობის შემდეგ: „კურთხეულ ხარ შენ“... კრება გაიხსნა ყოვლადსამღვდელო გურის თავმჯდომარეობით. ყოვლადსამღვდელო გურამ კრების გახსნისთანავე წარმოსთქვა სიტყვა. ამ სიტყვაში მათმა მეთუფებამ განუპარტა კრებას, რომ სამრევლო სკოლების უმაღლესად დამტკიცებული წესდებულობის თანახმად უწმიდესი სინოდს უფლება აქვს მოახდინოს დრო-და-დრო საგანგებო კრებებში და ამავე წესდებულების ძალით მოწვეულ არს ეს საგანგებო კრებაცო. შემდეგ მათმა მეთუფებამ მოუთხრა კრებას მოკლე ისტორია საზოგადოთ სამრევლო სკოლებისა და განსაკუთრებით განახლება და აღდგენა ამ სკოლებისა 1884 წლიდან ღვთივ განსვენებულის იმპერატორის აღმქანდრე მესამის მიერ. განუპარტა წევრთ მიზანი და დანიშნულება ხსენებული კრებისა და ისურვა, რომ კრებამ შესარულოს ის მოლოდინი, რასაც სამღვდელოება და საზოგადოება მოეღის მისგანო. შემდეგ თავმჯდომარისა ბატონმა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორმა წარმოსთქვა ღრმად საგრძნობელი სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს კრებაზე. ამ სიტყვაში მათმა აღმატებულებამ განუპარტა კრებას სამღვდელოების დიდი მნიშვნელობა და მასთან ბრძანა, რომ თუქცა ღღმედის ელნიშვნელობა საზოგადოებას ჯეროვანად არა აქვს



შეგნებული, მაგრამ დღეს სამღვდლოებას საშუალება ეძლევა, რომ სამრევლო სკოლების მეზობით ეს თავისი დიდი მნიშვნელობა ჯეროვანად დაანახოს საზოგადოებასო. ბოლოს ჩამოთვალა ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც ელობებიან წინსვალა განათლების საქმეს და რაიც ხელს უშლის სამრევლო სკოლების გავრცელებას და წინსვლდობას; საკვირველად დაახასიათა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა უნუგეშო მდგომარეობა ზოგიერთ მიყრებულ ადგილას სიღარიბისა გამო. გასაოცრად დასურათა ღვაწლი ზოგიერთ თავდადებულ მასწავლებელთა. მასწავლებელი, ბრძანა ობერ პროკურორბა, არის სანთელი; სანთელი დაიწვის თუ არა, ახალ სანთელს გარდასცემს სინათლის და თვითონ ჰჭრება, მისი აღარაფერი რჩება რა. მასწავლებელი მსახურებს, რომ თავისი სწავლა გარდასცეს სხვებს და თვითონ ჰჭრება. ქეშმარიტად დასაფასებელია ღვაწლი ამ მასწავლებელთა. შემდეგ ჩამოთვალა გარეგანი მტრები სამრევლო სკოლებისა და ბრძანა, რომ ეს მტრები ისე საშიშონი არ არიან, როგორც შინაინი მტრები. გარეგან მტრებს გაუძღვება კაცი, მათ კიდევ დასძლევ ბოლოს; დღეს თუ არ აქვს ზოგიერთებს შეგნებული დიდი მნიშვნელობა ქეშმარიტი ქრისტიანული აღზრდისა, შემდეგ შეიგნებენ. მაგრამ გარეგან მტრებზე უფრო საშიშონი არიან შინაგანი მტრები. პირველი შინაგანი მტერი არის ჩენი დაუღვენელობა, რომელიც; სამწუხაროდ, ყველას გვკრებს. ეს მტერი საშიშო და ამისთვის ყველანი ვალდებული ვართ ყურადღება მივაქციოთ ამ მტერს და გავაღწყოთ იგი ჩენგან. მეორე კიდევ უსაშიშროესი მტერი სამრევლო სკოლების საქმის კეთილად მოწყობის ხელშემშლელი არის ოფიციალურობა, ე. ი. როცა კაცი ცდილობს, რომ ოფიციალურად წაიყვანოს საქმე და არა ისე, როგორც რიგია. მესამე უსაშიშროესი მტერი სამრევლო სკოლების წარმატების ხელშემშლელი არის უმართლოება, საქმის ჩენება სიცრუით და არა ისე, როგორც არის. მრავალნი ცდილობენ საქმე აჩვენონ სხვას არა ისე, როგორც არის, არამედ სიცრუით უმართლოდ, მოტყუებით. ეს მტრები ყველა გარეშე მტრებზე უსაშიშროესი არიან და ყველანი უნდა ვცდილობდეთ, რომ ამ ჩენ შინაგან მტრებს ბოლო მოვუღოთ და განვაძეთ ჩენგან. ღრმა აზრი იყო გატარებული ბ. ობერ პროკურორის სიტყვაში და

ამიტომ სწორეთ დიდი შთაბეჭდილება კრებაზე. ობერ პროკურორი სიტყვის წარმოთქმის დროს თითოეულ სიტყვას ისეთი ენერგიით ამბობს, რომ ეს სიტყვა, ძალა უნებურად იზიდავს კაცის გულს და განძობს...

ბატონი ობერ პროკურორის სიტყვის შემდეგ კრებამ მოისმინა ვრცელი და ძლიერ დაწვლილებით მოხსენება მთელი იმპერიის სამრევლო სკოლების უმთავრესი მეთვალყურის ბ. ვ. ივ. შემიკინისა საყოველთაოდ ხალხში წერა-კითხვის სიქართ გავრცელების შესახებ. ბ. შემიკინის აზრით სასულიერო უწყებს და სახალხო განათლების სამინისტროსათი წლის განმავლობაში შეუძლიათ გახსნან 80,000 ჯეროვანად მოწყობილი წერა-კითხვის სკოლა, რომელშიაც ისწავლის 4 მილიონი ყმაწვილი, ხოლო ერთ-კლასიანი საერო და საეკლესიო სამრევლო სკოლების რიცხვი შეუძლიათ გააძილონ 100,000, რომელშიაც ისწავლის 8 მილიონი ყმაწვილი, რომ სახელმწიფო ხაზნა პირველ რვა წელს მიუმატებდეს ორ-ორ მილიონს ყოველ წლობით იმ თანხას, რომელიც უკვე იმყოფება საერო განათლების სამინისტროს და სასულიერო უწყების განკარგულებაში პირველ-დაწყებითი სწავლის გასაგრძელებლად. აი, უმთავრესი მოსაზრებანი ბ. შემიკინისა: 1) თუ ჯეროვანად მოწყობილი არ იქნენ წერა-კითხვის სკოლები, უამისოდ არ შეიძლება ხალხში საყოველთაოდ და სიქართ გავრცელებს წერა-კითხვა; 2) წერა-კითხვის საყოველთაოდ სიქართ გავრცელება შეიძლება ხალხში მხოლოდ იმ პირობით, თუ საერო განათლების სამინისტრო და სასულიერო უწყება ერთად იმოქმედებენ ამ საქმეში; 3) გუბერნიის და მაზრის ერობანი, რომელნიც მოისურვებენ სასულიერო უწყების შემწეობას, რომ ხალხში ყველგან მალე გავრცელდეს წერა-კითხვა, დიდ თანაგრძნობას და შემწეობას მიიღებთ სამრევლო სკოლების ადგილობრით და უმთავრესი გამგეობისაგან; 4) ეპარქიალურ სამოსწავლებლო რჩევებს მათ მაზრის განყოფილებათ დაწვლილებით უნდა განიხილონ გუბერნიის და მაზრის ერობათაგან შედგენილი სკოლების გახსნის შესახებ მოხსენება და თავითი აზრი ამ სკოლების შესახებ უნდა აცნობონ უმთავრეს სამოსწავლებლო რჩევას, რომელიც უწმ. სინოდთან არსებობს, ბ. შემიკინის მოხსენების შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა უმთავრესი სამა-



სწავლებლო რჩევის საპატიო წევრმა დეკ. პ. ა. სმირნოვმა სამრევლო სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლების საქმის უკეთესად დაყენების შესახებ.

შემდეგ ყოვლად სამღვდლო გურამ კრებას მისცა წინადადება, რომ პანაშვიდი გარდაცხადით იმპერატორის ალექსანდრე მესამის საფლავზე პეტრე-პავლეს ტაძარში. ოთხ-საათზე მთელმა კრებამ თავი მოიყარა ხსენებულ ადგილს; ჯერ გვირგვინი დადევს ღვთივ განსვენებული იმპერატორის საფლავზე და შემდეგ გარდაიხადეს პანაშვიდი, რომელიც შესარულა მრავალი სამღვდლო პირების თანამსახურებით ყოვლად სამღვდლო გურამ. პანაშვილზე დაესწრენ ყველანი, ვინც კრებაზე იღებდა მონაწილეობას და მათ გარდა გარეშე პირებიც ბევრი იყო.

7 აგვისტოს ამით გათავდა საგანგებო კრების სხდომა და კრება გადაიდგა მეორე დღისათვის.

რვა აგვისტოს მეორე სხდომა გაიხსნა ბ. ობერ-პროკურორის სახლში, ნაშუადღევს პირველ საათზე. კრებას თავმჯდომარეობდა უწმიდესი სინოდის წევრი ყოვლად სამღვდლო გური. კრებაზე დაესწრენ ზოგიერთი ყოვლად სამღვდლონი, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ვ. კ. საბლერი, მუღმივი და საპატიო წევრნი სამასწავლებლო რჩევისა, საპატიო მზრუნველნი სამრევლო სკოლებისა და ამ სკოლების მმართველ-გამგებობის საქმეში მოღვაწე პირნი, რომელნიც შეკრებულ იყვნენ რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან, რიცხვით 70 კაცამდე. სული წმიდის ლოკვის შემდეგ, რომელიც კრებაზე დამსწრე პირებმა იგალობეს, კრება შეუდგა იმ კითხვების განმარტებას, რომელიც შემუშავებული ჰქონდა პირველ განყოფილებას. პირველი კითხვა იყო: „ზომები, რომ უკეთესად მოეწყოს წერა-კითხვის სკოლები“. მოხსენებაში ნაჩვენებია იყო უმთავრესი დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიან ხსენებული სკოლების ჯეროვანად მოწყობის საქმეს. დამბრკოლებელ მიზეზად დასახელებული იყო წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთა უვარგისობა და ის მცირე ჯამაგირი, რომელიც ამ სკოლების მასწავლებელთ ეძლევათ. ამ დაბრკოლებათა მოსასპობლად ნაჩვენები იყო შემდეგი ზომები: ხაზინის იმ

საშუალებიდან, რომელიც ეძლევა უმთავრეს სამასწავლებლო რჩევას ერთ-კლასიანი სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების შესანახავად, გამოყოფილ იქმნეს განსაზღვრული თანხა საკუთრად წერა-კითხვის სკოლების შესანახავად; 2) ვიდრემდის მეორე კლასიანი სამრევლო სკოლებიდან წერა-კითხვის სკოლებისათვის ჯეროვანად მომზადებული მასწავლებლები გვეყოლებოდეს, მანამ ამ სკოლების მასწავლებლებად მოუწოდოთ იმ პირთ, რომელთაც ორ-კლასიანი სკოლების კურსი მინც ექნებათ დამთავრებული და ჯამაგირიც მომეტებული დაეუნიშნოთ; 3) წერა-კითხვის სკოლისათვის ახლად გასახსენი ადგილის გამოარჩევის შესახებ ცნობა უნდა შეიკრიბოს როგორც მზრის განყოფილებისაგან, ისე ერობისაგან. ეს მოხსენება ცოტა რამეების გამოკლებით მიიღო საგანგებო კრებამ. ამავე კრებაზე განიხილეს პირველი განყოფილების მიერ შემუშავებული მეორე კითხვა: „წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთა, რომელნიც უკვე არიან განწყესებულნი, გაწვრთნა-მომზადება“. ამ საკითხის შესახებ შემდგომ საშუალება გამოჩნდა და მიიღეს გამართულ იქნეს ხოლმე მოკლევადიანი სამასწავლებლო კურსები წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთათვის მეორე-კლასიან სკოლებთან ანუ სხვა ადგილას; 2) შედგენილ და გამოკემულ იქნეს მდამბოა ერთ სახელმძღვანელო დარიგებანი წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთათვის ყველა საგნების შესახებ. ბოლოს კრებამ განიხილა პირველი განყოფილების მოხსენება სასულიერო უწყების საკერაო სკოლების წეს-რიგის შესახებ. ეს მოხსენებაც ცოტა გამოკლებით მიიღო კრებამ. ამით დასრულდა ამ დღეს კრება.

მესამე სხდომა სამასწავლებლო რჩევის საგანგებო კრებისა მოხდა 10 აგვისტოს, დღის თორმეტ საათზე, ბ. ობერ-პროკურორის სახლში. კრებამ სხდომის უმეტესი დრო მოახზარა მეორე კლასიან საეკლესიო სკოლების საქმეს. ამ სკოლებში უნდა მოამზადონ მასწავლებლები წერა-კითხვის სკოლებისათვის. თავისი პროგრამით ეს მეორე კლასიანი სკოლები ცოტათი განსხვავდებიან ჩვეულებრივ ორ-კლასიანი მასწავლებლებისაგან. თავისი დანიშნულებით და წეს-წყობილებით მეორე კლასიანი სამრევ-



ლო სკოლები ბევრით განსხვავდებიან ჩვეულებრივ ორ-კლასიანი სკოლებისაგან. 1) მეორე კლასი ამ სასწავლებელთა დანიშნულია არა მარტო ერთი რომელიმე სოფლისა ანუ სამრევლოსათვის, არამედ მთელი ნახევარი მაზრის ერთ-კლასიანი სკოლებისათვის, ამიტომ ამ კლასისათვის საჭიროა საზოგადო ბინა შორეული სოფლების მოწვევითათვის. 2) ამ სკოლებში მასწავლებნი ერთის მხრით ამოავრებენ პირველ დაწყებითი განათლებას, ხოლო მეორეს მხრით ამავე სკოლებში გლეხის შვილებს ამზადებენ წერა-კითხვის და მცირე სამრევლოთა საეკლესიო სკოლების მასწავლებლებად. 3) ამ სკოლების პირველ კლასებში საზოგადო განათლებას აძლევენ ადგილობრივი მკვიდრობა შვილებს და მასთან პრაქტიკულად ამზადებენ მათ მეორე კლასიანი სკოლის უფროს განყოფილებისათვის. 4) ამ სასწავლებლის მეორე კლასში შედიან არა 9—10 წლის ყმაწვილები და არა ორი წლით, როგორც ორ-კლასიან საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებში, არამედ 13 წლისა და მეტისაც და სამი წლით. ასეთი მეორე კლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლები უნდა გაიხსნას თითოეულ მაზრაში ორ-ორი. თითოეული ამ სკოლის შესანახად დანიშნულია დღეს წლიურად სახელმწიფო ხაზინისაგან 1500 მანეთი. ეს 1500 მანეთი ამ გვარად უნდა განაწილდეს: 1) მღვდელს—გამგეს და საღმრთო სჯულის მასწავლებელს უნდა მიეცეს 150 მანეთი წელიწადში; 2) მეორე კლასის ორ მასწავლებელს: უფროს—360 მანეთი და უმცროს—300 მანეთი; 3) ერთ-კლასიანი საეკლესიო-სამრევლო ანუ სამაგალითო წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელს—240; 4) წიგნთ-საკავისა და სასწავლო წიგნებისათვის—150 მანეთი, და 5) სახლის შესანახად და ეკონომიური ხარჯებისათვის—300 მან. დღეს ასეთი მეორე კლასიანი სკოლები გახსნილია და ზოგიც მზად არის გასახსნელად 368. თითოეული ამ სკოლიდან, საშუალო რიცხვით, ათი კარგად მომზადებული მასწავლებელი მიიწვევა გამოვა და ამ სახით ყოველ წლობით წერა-კითხვის სკოლებისათვის გვეყოლება 3600 მასწავლებელი. 1900 წელში მეორე კლასიანი სკოლების რიცხვი ორჯელ მეტი იქნება, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, სახელდობ 1904 წელში, ყველგან დაარსებული იქნება ასეთი სკოლები და მაშინ ყველა ამ სკოლებიდან ყოველ წლობით გა-

მოვა 10—12 ათასი მასწავლებელი. ამ სახეობის მასწავლებლების შემწევობით ხალხში ძლიერ მალე გავრცელდება წერა-კითხვა. აღნიშნულ სკოლებს სახელმძღვანელო და სხვა საჭირო წიგნებს მიაწოდებს უწყ. სინოდთან არსებული სამასწავლებლო რჩევა, რომელმაც უკვე გადასწავილა გამოცეს წერა-კითხვის სკოლებისათვის როგორც შინაარსით ისე საფასით ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო წიგნები. 10 ავჯისკოებისა და კრების სხდომაზევე განიხილეს „წესდებულობა მეორე კლასიანი სამრევლო სკოლებისა“; ეს წესდებულობა უნდა წარდგეს სახელმწიფო რჩევაში. იმ შენიშვნათაგან, რომელიც სხდომაზე გამოთქვეს სხენებული წესდებულების შესახებ კრების ზოგიერთმა წევრებმა, უფროს საყურადღებოა შემდეგი: 1) მეორე კლასიანი სკოლის მასწავლებელთათვის დანიშნულია ჯამაგირები საკმაო არ არის, მაგრამ რადგან საშუალებათა უმექონელობისა გამო მასწავლებელთა ჯამაგირების გადიდება არ მოხერხდება, კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ მასწავლებელთა შტატის ჯამაგირებს თან-დათან მოემატოს ე. ი. ყოველი ხუთი წლის სამსახურის შემდეგ მასწავლებელს მის შტატის ჯამაგირზე მიემატოს 25% იმ სასყიდლისა, რომელსაც წლიურად იღებდა ჯამაგირად. ეს მიმატება მოხდება ოთხჯერ ყოველი ხუთი წლის შემდეგ. 2) ამავე მიზნით კრებამ დაადგინა, რომ მეორე კლასიანი სკოლების მასწავლებელთ მიენიჭოს ჰენსის მიღების უფლება, იმავე წესით, რა წესიც არსებობს სამასწავლებლო უწყებაში. 3) მეორე კლასიანი სკოლის შენობის შესანახად და სხვა ეკონომიური ხარჯებისათვის დანიშნულს 300 მანეთს კრებამ მიუძღვა ყოველ წლიურად 400 მან. ასე რომ თითოეული მეორე კლასიანი სკოლა ყოველ წლობით მიიღებს თავისი სამურწუნო ხარჯების დასაფარავად 700 მანეთს. შემდეგ კრებამ განიხილა პროექტი საეკლესიო-სამრევლო სკოლების მზრუნველების აღრჩევის და დამტკიცების შესახებ. ამ კითხვის შესახებ, სხვათა შორის, კრებამ დაადგინა, რომ ზოგიერთ პატივ საღებ შემთხვევებში ამ სკოლების სამურწუნო ნაწილში მიღებულ იქნენ საპატრიო მზრუნველებად ქრისტიანეთა სხვა აღმსარებელნიცა.



მეოთხე სხდომა სამსწავლებლო რჩევის საგანგებო კრებისა მოხდა 11 აგვისტოს ყოვლად სამღვდელო გურის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ მრავალი ეპისკოპოსები, სამსწავლებლო რჩევის საპატრონო წევრი სენატორი ვ. კ. საბღერი და სხვა მრავალნი, კრებამ პირველად მოისმინა მოხსენება, თუ რა საშუალებანი უნდა გამოიხსნას, რომ გაუმჯობესდეს ნივთიერი მდგომარეობა საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა, და მასთან ისიც იყო ნაჩვენები, რომ ეს საშუალება უმთავრესად უნდა ეძიებოდა თვითონ ეკლესიაში, რომელიც არის დედა და უმთავრესი საფუძველი საეკლესიო სკოლისა. ეს მოხსენება შემუშავებული იყო მრგვე განყოფილებასთან უმთავრესი სამოსწავლებლო რჩევის თავმჯდომარის ამხანაგის დეკანოზის მ. ხიტროვის თავმჯდომარეობით. ამ მოხსენებამ კრებაზე გამოიწვია დიდი ბაჟი, განსაკუთრებით მოხსენების იმ ადგილმა, სადაც ნათქვამი იყო, რომ მონასტრების და მღიღარო ეკლესიების შემოსავლისაგან 2% გადაიდგას სამრევლო სკოლების სასარგებლოდ. კრებამ ხმის უმეტესობით თითქმის ყველა ეს კითხვები შეუცვლელად გადაწყვიტა. კრებამ გამოიხატა საიმედო ზომები, რომელნიც ძლიერ დაეხმარებიან ზემოაღნიშნული მიზნის სისრულეში მოყვანას. გარდა ამისა კრებამ განიხილა ის კითხვაც, თუ სამრევლო სკოლებში როგორ უნდა მიიღონ განათლება ქალებმაც. კრებამ აუცილებელ საჭიროდ დაინახა, რომ დიდი ყურადღება მიექცეს ქალების განათლებასაც, როგორც მომავალი დედებისას. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა, რომ სამრევლო სკოლებში შემოღებულ იქნეს სხვა-და-სხვა ხელთ-საქმარი და სხვა-და-სხვა ხელობანი, ადგილობით პირობათა მიხედვით. იმ კითხვის შესახებ, თუ რამდენ ხანს გაგრძელდეს სწავლა ერთ-კლასიან სამრევლო სკოლებში, კრებამ ერთ ხნად დაადგინა, რომ სწავლა გაგრძელდეს სამ წელს, ხოლო სხვა ერთა სკოლებში კი ოთხი წელიწადი. მოხსენება იმის შესახებ, რომ შეერთებულ იქნენ სხვა-და-სხვა ეპარქიებში არსებული სამისიონერო და სხვა თემთა სკოლები საეკლესიო-სამრევლო სკოლებთან, რომ მათ განაგებდეს ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევა, იმ პირობით კი, რომ რჩევის წევრად უსათუოდ ჩარიცხული იქმნეს ადგილობრივი ეპარქიალური მისიონერი, ხოლო ეპარქიის მეთვალყურე იქნეს წევრი ადგი-

ლობითი პართლ-მადიდებელი სამისიონერო სპეციალ-ლოების კამიტეტისა.

მესამე სხდომა საგანგებო სამსწავლებლო რჩევისა მოხდა 12 აგვისტოს ყოვლად სამღვდელო გურის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ მრავალი ეპისკოპოსები, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი სენატორი ვ. კ. საბღერი და წევრნი საგანგებო კრებისა. განხილულ იქნა: მოხსენება მეექვსე განყოფილებისა შესახებ მისა, თუ როგორი ცვლილება უნდა მოხდეს ეკზამენაციურ კამისიებში, და ან რა წესით უნდა მოხდეს გამოცდა ან ხმადგრო ბევრის სასაღვათო მოწმობის და ან სამხედრო საეკლესიო სკოლების მასწავლებლობის წოდების მიღება და პროექტი დარიგებათა ეპარქიალური მეთვალყურის სახელმძღვანელოდ. პირველი კითხვის შესახებ დაადგინეს, რომ ეკზამენაციური კამისიებში უნდა იქნენ შემდგვი პირნი: 1) თავმჯდომარედ მაზრის მეთვალყურე ანუ მისი მოადგილე მისივე დანიშნით, 2) ადგილობრივი საღმრთო სჯულის მასწავლებელი, და 3] ადგილობრივი მასწავლებელი თანახმად საერო განათლების სამინისტროს ეკზამენაციური კამისიისა... გარდა ამ პირთა კამისიის წევრებად შეიძლება მოწოდებულ იქნენ სკოლების მზრუნველნი ხმის უფლებით, თუ მათ გაუთავებიათ სამაზრო მასწავლებლის კურსი მაინც. იმ კითხვის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს გამოცდა მასწავლებლობის წოდების მიღების შესახებ, კრებამ საჭიროდ დაინახა: ა) ეკზამენის დამკვეთ უნდა ეკოდინოსთ სრული კატეხიზმო; ბ) სავალდებულო საგნებს მიემატოს საეკლესიო გალობა, რაც მოითხოვება ორ-კლასიანი სკოლების პროგრამით; გ) წერლობითი გამოცდის დროს რუსული ენადამ დაენიშნოსთ დამოუკიდებელი ტემა თხზულების დასაწერად. აგრეთვე დიდი კამათი გამოიწვია ეპარქიის მეთვალყურის ინსტრუქციის განხილვამაც, რომელიც შემუშავებული იყო მეექვსევე განყოფილებისაგან.

დკ. დ. დამასაიქ.

პეტერბურგი, 12 აგვისტო.

შემდეგი იქნება.





სოფლის სახალხო სკოლების მასწავლებელთა აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

გაგრძელება *.

სწორეთ ქების ღირსია ის მასწავლებელი, რომელმაც თავის მოწაფეებში აღძრა თვით მოქმედება, სიყვარული მეცადინეობისა, ცოდნისა და გრძნობა განათლების საქიროებისა. მაგრამ ყოველივე ეს შეადგენს განათლების დასაწყისს. შეიძლება ყმაწვილში აღძრა სიყვარული ცოდნისა და განათლების საქიროება, მაგრამ ასეთი ყმაწვილი განუთვითარებელი დარჩება. სიყვარული სწავლისა და განათლების საქიროება, რომელიც აღძრია ყმაწვილში სწავლის დროს, ხშირად ცუდ გარემოებათა ზედ-გავლენით ანუ სრულიად იხშობა, ან ცრუ მიმართულებას იღებს და ხან უბრალო ცნობის მოყვარებად იქცევა. ეს სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ხშირად ეწოდებოდა ზოგიერთ მოზარდ ყმაწვილებ შორის, წარმოადგება ანუ უწყეს-რაგო სწავლებისაგან, ანუ იმის გამო, როცა სკოლებში სწავლების საქმე წარმოებს უგულვლოდ. მტკიცე აღმზრდელობითი სწავლება, ითხოვს, რომ მასწავლებელი იყოს აღჭურვილი ქეშმარიტებით და აღფრთოვანებული სასწავლო საგნების დიდი მნიშვნელობით. ასეთი მასწავლებელი სწავლების საქმეს მისცემს განსაზღვრულს გზას, ერთობას და სი-ცოცხლეს, როცა მტკიცედ ჩაბეტლას მოწაფეთა გულსა და გონებაში პირველ დაწყებითი ცნობები; ასეთი მასწავლებელი მოწაფეთ საგნების წინაარს აუხსნის ცხადთ, ცხოვლად და თვალ საჩინოდ. მხოლოდ ამ გვარი სწავლებით შეიძლება აღძრა ყმაწვილის ნორჩ გულსა და გონებაში ყოველივე კეთილი. ყველა სასწავლო საგნებ შორის, ხსენებული მიზნის მისაღწევად საღმრთო საჯულის პირველი ადგილი უჭერია. განუმატე ცოცხლად და ცხადად ქეშმარიტებანი ქრისტეს მოძღვრებისა და ზნეობითი სწავლისა (აქ სახეში გვაქვს კატეხიზმის სწავლება), განსაკუთრებით ადვილად შესაგნები, გულის გასამგირალი, ჭკუის დასარიგებელი ყმაწვილის გონებისა და გულისათვის. ასეთი სწავლებით მასწავლებელი ერთის მხრით ვააცოცხლებს და გააერ-

თიანებს ბავშვების საერთო მეცადინეობას, ხსნის მთარეს მხრით აღამალებს და განამტკიცებს იმაში სარწმუნოებრივ-ზნეობრივ გრძნობას, რომელიც შეადგენს აღზრდის საქმის მშენებას. ღვთის მიერ გამოცხადებულ ქეშმარიტებათ, რომელნიც უტყუარნი და ნამდვილნი არიან და რომელნიც ნათელსა ჰყვენენ ყოველ მეცნიერებას, შეუძლიათ შეავსონ, განმარტონ და განაცხივებონ ყველა სხვა საგნების შესწავლა. ამიტომ სახალხო სკოლებში საღმრთო საჯულის სწავლების საქმე უნდა იყოს მტკიცე ნიჟადაზე დაყენებული. მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლიათ მასწავლებელთ ბავშვებში ჯეროვანად განამტკიცონ ზნეობითი გრძნობა და შეიმუშაონ მათში საიმედო და შეურყეველი, მტკიცე, ქრისტიანობრივი მიმართულება, რომელიც სპობს ყოველივე უთანხმოებას სარწმუნოებასა, ცოდნასა და მოქმედებათა შორის. როცა მასწავლებელი ცხოველის სიტყვით ასწავლის მოწაფეთ ღვთის მიერ გამოცხადებულ მოძღვრების ქეშმარიტებათ, იგი ძლიერ კეთილ-გონიერად მოიქცევა, თუ დარწმუნებით ჩააღონებს ბავშვებს, თუ რა უნდა იყოს მათი სასურველი საგანი, ანუ რისადმი უნდა მიესწავლიდნენ, ან რა უნდა მოერიდონ. სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აღზრდის საქმეში მტკად დიდი მნიშვნელობა აქვს საღმრთო ისტორიის თვალ-საჩინო სწავლებას. ისტორია არის კრება კაცთა ქველის საქმეთა და სისუსტეთა, — საღმრთო ისტორია არის თვით ნამდვილი სურათი და ჭკუის სასწავლო სკოლა, რომელიც კანონიერად ამხილებს სიკრუტეს და ბიჭვირებისა და აღამალებს ქეშმარიტ ქველის საქმეთა. თუ მასწავლებელმა ცხადთ და თვალ საჩინოდ დაუხატა მოწაფეთ სილიადე და სიმშენიერე ზნეობრივი კეთილისა, და სისამაგლე ბოროტებისა, ამით იგი ჩაუნერგავს მოზარდთათბას გულსა და გონებაში სიყვარულს ქეშმარიტებისა და ქველის საქმეებისადმი და ამავე დროს აღძრავს მათ გულში სიძულვილის სიკრუისა და ბოროტებისადმი. ბავშვებზე სიტყვიერი დარიგება ზნეობასა და უზნეობაზე ისე არ მოქმედებს, როგორც თვით ზნეობრივი და უზნეო მოქმედებანი კაცთა. გამოცდილება და მაგალითები უფრო იზიდავენ ბავშვების ცხოველს და მიზილდველ ბუნებას საქმიანადმი. როცა მასწავლებელი უხსნის მოწაფეთ ისტორიას მისხსენებულ პირთა კეთილ მაგალითებს, თანვე ისიც უნდა ჩააგონოს მათ, რომ ამ ბავშვებამაც

* იხილეთ „მწყემსი“ № 14, 1898 წ.

თავიანთ ცხოვრებაში განახორციელონ ეს მაგალითები. თუ რა აღმზრდლობითი მნიშვნელობა აქვს საღმრთო საკულის სწავლებას, ეს კარგად განმარტებულია საეკლესიო-სამრევლო სკოლების პროგრამის განმარტებაში. ისინი, რომელნიც გულ-მუხრავად ეკიდებიან ზღვის განათლების საქმეს, ამავე პროგრამის განმარტებაში წაიკითხვენ იმასაც, თუ როგორ უნდა ასწავლონ საღმრთო საკული.

მაგრამ რაც უნდა კეთილ-გონიერად და კეთილ ნაყოფიერად იმოქმედოს სოფლის მასწავლებელმა თავის მოსწავლეებზე სკოლაში, მის მოღვაწეობას არ ეძლევა სისრულე და კეთილ-გავლენა, თუ იგი მარტო სკოლაში მოღვაწეობას დაჯერდა. განა არ ვამჩნევთ, რომ ცხოვრება სრულიად აქარწყლებს სკოლის კეთილ ზედ-გავლენას, ასე რომ შუქი განათლებისა, აღძრული სკოლაში, ბნელდება და სრულიადაც ჰკრება ცხოვრებაში. გაუნათლებელი ხალხის ცხოვრებას მეტად ცუდი ზედ-გავლენა აქვს სკოლის კეთილ ზედ-გავლენაზე. ჩვენი გაუნათლებელი ხალხი ცხოვრებს ერთმანეთის მიხედვით. ოჯახის უნტროსი წევრნი, რომელნიც ცხოვრებენ დიდებთან ერთად, სიჩქარით თვისებენ უმფროსების ცუდ ჩვეულებათ და ამაოდ მორწმუნეობათა და ბოლოს მთლად უერთდებიან უფროსებს და მათ გულში სრულიად ისობა ყოველივე კეთილი მისწრაფება, რომელიც აღძრავს მათ სულსა და გულში უკოლაში სწავლის დროს. თუ დაუკვირდებით, უბრალო ხალხში ბლომათ მოპოვებიან ისეთი პირნი, რომელთაც ერთ დროს სკოლაში უსწავლიათ, მაგრამ სკოლიდან გამოსვლის შემდეგ თავიანთი გაუნათლებელი მეზობლების, ნათესავების და ნაცნობების ზედ-გავლენით მათში გამჭრალა ყოველივე კეთილი მისწრაფება და ისინიც იმავე მღვდმარებაში ჩაგარდნადიან, როგორშიაც მათი გაუნათლებელი მონათესავენი იმყოფებიან. ასეთი პირნი მხოლოდ მდიდრები არიან სიტყვით და არა საქმით. მიუხედავად მისა, რომ ერთ დროს სასწავლებელში უსწავლიათ, იგინი არიან უზრდელნი და ამაოდ მორწმუნენი. ამიტომ სოფლის მასწავლებელს თუ სურს, რომ ყოველივე მან, რასაც ის დასთესს მის მოწაფეთა ნორჩ სულსა და განებაში, კეთილი ნაყოფი გამოიღოს, მომეტებული ყურადღება უნდა მიაქციოს თვის მოწაფეთა ოჯახებს, გამჭრახე თვალით და ფაზლად უნდა აღენოს ყურადღება თვის მოწაფე-

თა სკოლის გარეშე ცხოვრებას და, შემდგომად გვარად, დაიფაროს ისინი გარეშე პირთა მანებულ ზედგავლენისაგან. ეს საქმე ძლიერ საძნელთა, მაგრამ უპრობოლოდ არც ნაყოფის მოწვევა შეიძლება. შეიძლება ზოგიერთმა მასწავლებლებმა ეს საქმე მეტ ტვირთად და შეუძლებლად ჩათვალოს, მაგრამ აღმზრდელთა აზრით აღნიშნული საქმე შეადგენს სახალხო სკოლის მასწავლებლის უპირველეს მოვალეობას. სკოლა, რომელიც დაახლოვებული არ არის ცხოვრებასთან, შესაძრევი ნაყოფს ვერ მოიტანს. მოწაფეთა შინაურმა დანაშაულებმა უმობლები უნდა ჩაეღონოს, რომ მათ თავიანთი შეილები მოაშორონ ყოველივე იმას, რასაც მოზარდ თაობაზე ცუდი ზედ-გავლენა აქვს, აგრეთვე უნდა დაიფარონ ბავშვები დიდების ცუდ ზნეთა და მიდრეკილებათაგან. მასწავლებლის გონიერ მეცადინეობას და დახმარებასაც ბევრი რომ შეუძლია ამავე დროს. გულ-წრფელი და ადვილად გამაგნე ვლები ყოველთვის იხად არის რამე შეისწავლოს მასზე უფრო შეგნებულ პირთაგან, დიდის ხალხით ისმენს კეთილს რჩევას და დარიგებას თავისი შეილების მასწავლებლისა და მზად არის დახმარება აღმოუჩინოს ამ უკანასკნელს. გლეხი უშიშრად ანდობს მასწავლებელს თავისი საყვარელი შეილების აღზრდას და მასწავლებლისათვის ის აქვს თავისი ხალხის კარები. ეს გარემოება ხელს უწყობს მასწავლებელს, რომ მან კეთილი ზედ გავლენა იქონიოს თავის მოწაფეებზე არა მარტო სკოლაში, არამედ სკოლის გარეშეც. ამ შემთხვევაში უფრო კარგად არიან დაყენებული საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებშიაც მასწავლებლად არიან უმეტესად ეკლესიის კრებულის წევრნი, რომელთაც ხშირად ეძლევათ შემთხვევა, რომ თავიანთი მოწაფეების მშობელთა ოჯახები ინახულონ.

შეეცება სახალხო სკოლის მასწავლებელი, რომელიც იფიქრებს, რომ ყოველივე მისი რჩევა და დარიგებანი, რომელსაც ის აძლევს მოსწავლეთა მამებს, სისრულით იქნება აღსრულებული და ოჯახში დიდების ზედ-გავლენის ქვეშ არ წარიხოცება ის, რაც სკოლაში დაითესა ყმაწვილის ნორჩ სულსა და გულში. ჩვენი მდაბო ხალხის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მას მეტად ცუდი ზედ-გავლენა აქვს სწავლა-განათლების საქმეზე; თვით ის მამები, რომელნიც მზად არიან მიიღონ მასწავლებლის რჩევა,



რომ თავიანთი შეილები მოაშორონ ყოველივე ცუდს, თავის უნებურად უნერგვენ შეილებს თავიანთ ცუდ ზნე-ჩვეულებათა, რომელიც ძლიერ ცუდად მოქმედებს სკოლაში მიღებულ განათლებაზე. ეს გარემოება ავალებს საფლის სკოლის მასწავლებელს, რომ იგი, რაც შეიძლება, უფრო დაუახლოვდეს საფლელების ცხოვრებას და მიმართულებას. და ყოველივე ღონე იხმაროს, რომ მოსპოს საფლელებში ის ბრიყვი და არა ქრისტიანული ჩვეულებანი და ამაოდ მორწმუნებანი, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ ზედება კაცს მდაბიო ხალხის ცხოვრებაში და რომელნიც აფუტებენ და ხრწნიან ახალგაზდა ბავშვების გონებას. მასწავლებელმა ხალხთან შეხვედრის დროს უნდა ამხილოს მათი ცუდი ჩვეულებანი და ამაოდ მორწმუნებანი, მაგრამ ამ მხრით უფრო უნდა იმოქმედოს მან თვით სკოლაში. მართალია დიდები, რომელთაც ცუდი ზნე-ჩვეულებანი და ზოგიერთი ამაოდ მორწმუნებანი შესისხლბორცვიათ, სწყინთ, როცა მათ ამხილებენ და ნაკლებად ცდილობენ უარჩყონ თავიანთი დიდი ხნის ჩვეულებანი, მიდრეკილებანი და შეცდომანი, პატარა ყმაწვილები კი დიდის ხალხისთ იხმენენ თავისი მასწავლებლის დარიგებას და მზად არიან მოსპონ თვის შორის ყოველივე ცუდი ზნე ჩვეულებანი. მხოლოდ საჭიროა, რომ ფრთხილად, ცხადით და თვალსაჩინოდ დაუხატო მათ სირეგვენ, მიენებო ზოგიერთ არა ქრისტიანულ რწმენათა, ცრუ-მორწმუნებათა და ცდომილებათა და ამავე დროს აუხსნან ნამდვილი აზრი და მწიფნელობა იმ პირთა, მოვლენათა, ჩვეულებათა, რომელნიც ურიგოთ და ცრუდ ესმისთ და პატივისცემით მიღებულნი არიან ცრუ-მორწმუნე ხალხისაგან. თუ ასე იმოქმედებს მასწავლებელი თავის ასპარეზზე, იგი დაიფარავს და დანერგავს ბავშვებში ჭეშმარიტ განათლებას და მიაწოდებს მათ კეთილ და ნამდვილ სულიერ საზრდოს. როცა საფლის სკოლის მასწავლებელი გადააჩვევს ახალ მოზარდ თაობას იმ მაგნებელ ჩვეულებათა და ცრუ მორწმუნებათა, რომელნიც არსებობენ ახალ

მოზარდ თაობის გარეშე მცხოვრებ საზოგადოებაში მასწავლებელი ამავე დროს განათლების შუქს შეიტანს ახალ-გაზრდა თაობის მეოხებით გაუნათლებელს ხალხში და ამ სახით ხალხში აღამალდებენ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ ცხოვრებას. ამ მხრით საზოგადოება უკვე ხედავს, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზოგი მასწავლებლები ფრიად ნაყოფიერად მოქმედებენ. ეს მასწავლებელნი მდაბიო ხალხის შეილებს კი არ ასწავლიან მარტო, არამედ ზრდიან მათ, ხოლო მათი დახმარებით დიდა ზნეობრივი გავლენა აქვთ მასწავლებელთ თვით ხალხზე. საეკლესიო-სამრევლო სკოლების კეთილი გავლენა ხალხზე, განსაკუთრებით საფლისაზე, ყველასათვის თვალსაჩინოა. სადაც კი საეკლესიო-სამრევლო სკოლა დიდის ხნიდან არსებობს და ხსენებული სკოლიდან ორ-სამ გზის უკვე გამოსულან კურს დამთავრებულნი, იქ ვამჩნევთ უკეთესობას. ახალ მოზარდი თაობა პატივით ეყარება მშობლებს, მეუღროსეთა და მოსამსახურე პირთ, შემეცირებულთა უზრდელი საქციელი და ცუდ ენაობა, გავრცელებულია სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის წიგნების კითხვა, ხშირად დაიარებიან ტაძარში, კვირა-უქმე დღეებში უფრო გამუდმებით ლოცვილობენ ტაძრებში, მონაწილეობას იღებენ ტაძარში კითხვასა და გლობაში. სკოლის ასეთ მოქმედებას აფასებს თვით ხალხი: გლეხს სიხარულით შეჰყავს ხსენებულ სკოლაში შეილი. ეს უკანასკნელი ფაქტი ცხადად ამტკიცებს, რომ საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებელთა სასარგებლო მოღვაწეობა უკვე შეიგნო ხალხმა, რომელიც დიდის სიამოვნებით ემხარება ხსენებული სკოლების დაარსების და გავრცელების საქმეს. სწორეთ ამ სკოლების მასწავლებელთ შეგვიძლია უწოდოთ სახალხო სკოლების მასწავლებელნი.



სიყვება

უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურატორის ამხანაგის სენატორის ბ. ვ. კ. საბლერისა, წარმოთქმული საეკლესიო-სამრევლო ორ-კლასიანი სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიური კურსების დრ.ას ქ. მოსკოვში, 6 ივლის.

მასწავლებელთა კურსები, რომელთაც დღეს ყველგან მართვენ, უძვეველ სარგებლობას მოუტანენ საეკლესიო სკოლების გაძლიერების საქმეს, თუ ამ სკოლების მასწავლებელთ დაეხმარებიან, რომ მათ შეიგნონ აღზრდის ის საფუძველნი, რომელნიც უნდა განახორციელონ ამ სკოლებში. მასწავლებლის მოღვაწეობა სასარგებლო იქნება, თუ ის აღფრთოვანებულია თავისი სამსახურის იდეალის განხორციელებით. როგორი უნდა იყოს ეს იდეალი? დიდი პასუხ საგები საქმე გაქვსთ დავალებული თქვენ, ხალხის მასწავლებელთ! თქვენ გეგბარებთა გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა მომავალ დგმათა; თქვენ აღჭურვილნი უნდა იყოთ არა მარტო კარგი მეცნიერული მოზადებით, ამასთან ერთად თქვენ უნდა იცეთ მორწმუნე ხალხი, თავდადებული თქვენ სამსახურზე, უნდა გაქვდეთ მტკიცე ქრისტიანული ხასიათი და ავტორიტეტი, რომლის გარეშე მასწავლებლობა შეუძლებელია თითო უღარიბეს დასაწყის სკოლაშიაც კი. კარგნი მასწავლებელნი, მექონენი ქრისტიანობრივი აღზრდის წმიდა იდეებისა, მიმართვენ მოწაფეთა გულსა და სულს, ნათელისა, სიმართლისა და კეთილისადმი. თუ გინდა აღზარდა ბავში, უხელომძღვანელო მის გონიერ ლტოლვითა და ჩააგონო მას, მოსასო თვის ზრდის ცუდი მიდრეკილებანი, თით მასწავლებელი უნდა იცევს პირველად შემკული ზნეობრივი სისრულით; მასწავლებელი ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, აქნდეს მტკიცე სარწმუნოებრივი რწმუნებანი, თავისი ცხოვრება უნდა შეთანხმოს მას, რასაც ხედავს ქრისტეში ანუ ქრისტესაგან რაც ესმის. თუ ის ცდილობს იცხოვროს ქრისტესთან, თავის მოწაფეებიც უნდა დაუახლოვოს ქრისტეს, საუკუნოა ნათელი. თუ მას შეეწყურულად უყვარს მართლმადიდებელი ეკლესია, მოწაფეებებსაც უნდა შეასწავლოს, რომ მათთაც შეიყვარონ ეკლესია და თავი დასდონ მისთვის. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ, რაც შეიძ-

ლება, ზირად ილოკოს მოწაფეებთან ერთად, რომ ამით მათში აღძრას სიყვარული და ერთობა. მასწავლებელმა, რომელმაც იცის სიმდიდრე ჩვენ საგალობელთა, უნდა ჩანერგოს მოწაფეების გულში მართლმადიდებელი ეკლესიის ლოცვა-ვედრების სიმშვენსიერე. მასწავლებელმა უნდა აღძრას მოწაფეებში სიყვარული სამშობლოსადმი და განუმარტოს მოსწავლეთ, რომ იგინი იყვნენ ერთგულნი მოსამსახურე მეფისა და მამულისა. სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეთ ერთიანი მიმართულება, მან უნდა დასვას მათ თავისი განსაზღვრული ბეჭედი. კარგი აღზრდა უნერგავს მოსწავლეთ აზრთა და ჩვეულებათა ერთობას, რომელიც გამოსადგეია მათ მომავალ ცხოვრებაში სასარგებლო მოღვაწეობისათვის. მომავალ მასწავლებელთ საჭიროა განსაკუთრებით შეთაგონოთ ის აზრი, რომ მასწავლებელს მხოლოდ მაშინ შეუძლია წარმატებით იმოქმედოს, თუ მას მუდამ ხსოვნაში ექნება, რომ მან თავისი კუდი ყოფაქცევით არ შეაცდინოს თავისი მოწაფენი. მასწავლებელი განზორბებული უნდა იყოს ყოველივე ბიწიერებისა და სისუსტისაგან, რომელიც არ შეფერის მის დიდ სამსახურს. ვაი იმ მასწავლებელს, რომელიც შეაცდენს მოწაფეს თავისი კუდი მოქმედებით, მასწავლებლის კუდი მაგალითს შეუძლია დალუპოს მოსწავლენი. ეს პასუხის მგებლობა მასწავლებლისა მისდამი ჩაბარებულ მოწაფეთა შესახებ, მასველთვის კარგად უნდა ახსოვდეს. მასწავლებელი, რომელიც ზრდის მოსწავლეთ თანახმად პირუთენელი ქრისტიანული კეთილ-მსახურებისა და რომელიც (მასწავლებელი) მოზარდ თაობას უნერგავს გულში სიყვარულს ყოველივე პატიოსნებისა და უზენაესისადმი, ამით იგი ზნეობითად ანვითარებს თავის მოწაფეებს. მასწავლებელმა უნდა უკითხოს მოწაფეებს კარგი წიგნები, მოუთხარას საზოგადო, სამშობლო და საეკლესიო ისტორიიდან ზოგიერთი მოთხრობები და გააცნოს მათ ისტორიაში მოხსენებულნი პირნი, რომელთაც თავდადებით იმოდევნებენ საზოგადო კეთილ-დღეობისათვის. მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოწაფეთ, რომ ნივთიერ სარგებლობასთან ერთად არის ზნეობრივი ინტერესებიც. როცა მასწავლებელი ებასება მოწაფეებს წარმავალზე, ამავე დროს უნდა განუმარტოს მათ საუკუნოც, როცა ებასება ხილულ ქვეყანაზე, უნდა ებასოს ცაზედაც. საეკლესიო სკოლამ თავისი დო-




ნიშნულებისამებრ განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოს სკოლის ამ შინაგან აღმზრდელობითი მხარეს. მასწავლებელმა იმდენად უნდა განამტკიცოს მოსწავლეებში ქრისტეს სწავლა-მოძღვრება, რომ იგინი თავიანთი ქვეყნიური ცხოვრების დროს მუდამ ნივთიერ შექმნაზე არ ზრუნავდნენ, რაც სამწუხარო მოვლენას შეადგენს ამ მეტსრამეტე საუკუნეში. ასეთი სკოლა ჩვენ დროშიაც კი დაიფარავს მოზარდ თაობაში იმ მეტიველე ღვთის მსახურებას და ეკლერისობისთვის თავის დაღებას რომელიც მუდამ დროს აცხოველებდა ყოველ მართლ-მადიდებელ კაცს. ძველი დროის სოფლის უბრალო ცხოვრება დღეს პატრიარქებში აღარ არის. იმის გამო რომ სიმდიდრე თანასწორად არ არის განაწილებული, გამოწვეულია სხვა-და-სხვა სოციალური კითხვები. ერთად ერთი ძლიერი და კეთილ-გონიერი საშუალება, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ხალხის განათლების საქმეს, არის სკოლა, რომელიც ერთის მხრით სძენს მოსწავლეთ პირველ დაწყებითი კლასს, ხოლო მეორეს მხრით კანონიერად ზრდის და ამტკიცებს მათ ქრისტიანობრივ კეთილ მსახურებასა შინა. ზემონათქაზიდან სჩანს, რომ მთელი ეს საშენლო მუშაობა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდაზე, დაფუძნებული უნდა იყოს ქრისტესი მოძღვრებაზე. გარეშე სახარების სწავლისა არა არს და არც შეიძლება იყვეს უტყალობელი ზნეობრივი კანონები.

ორ-კლასიან სკოლების მასწავლებელთ, რომელთაც შეგებული ექნებათ აღზრდის უმაღლესი იდეალები, ყოველთვის ექნებათ შემთხვევა კეთილი შედეგადგენა იქონიონ მოსწავლეებზე. ეს სკოლები, როგორც ვიცით, განსხვავდებიან დანარჩენ საეკლესიო სკოლებისაგან იმით, რომ თითოეულ ორ-კლასიან სკოლასთან ექნება საზოგადო ბინა მოსწავლეთათვის. მოსწავლენი იცხოვრებენ ამ სკოლებში სამიდან ხუთ წლამდე; და ამიტომ ცხადია, რომ ამ სკოლაში ცხოვრება ისე უნდა იქნეს მოწყობილი, რომ მოწადენი აღიზარდონ იმ მიზნისათვის, რა მიზნისათვისაც ისინი შევიდნენ ამ სკოლებში. საზოგადო ლოცვით იწყება ყოველი დღე. როგორც ერთი ოჯახის წევრნი ისე უნდა იკრიბებოდნენ ლოცვაზე როგორც მასწავლებელნი ისე მოსწავლენი. ვი იმ სკოლას, სადაც ლოცვის აღსრულებას ისე უტკებრიან, როგორც აფიციალურს რაიმე განკარ-

გულებას. მოხერხებული ხელმძღვანელი ყურადღებულ მიაქცევს, რომ ლოცვები წიკითხონ კეთილ-კრძალულებით და მკაფიოთ; ცდილობს, რომ გალობაში ყველა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა, ზრუნავს, რომ გალობაში სიმშვენით და კეთილმზინაობით მიიზიდოს მგალობელთა გული. ლოცვის შემდეგ იწყება საუზმე; შემდეგ იწყება გაკეთილები, რომელიც შეძლებას აძლევს მასწავლებელს, რომ იგი დაუახლოვდეს და კარგად გამოიკვლიოს მოსწავლის გონების სხვა-და-სხვაობა და ზნეობრივი მხარეები. მასწავლებელი, რომელიც უგულვოდ არ ეკიდება თავის საქმეს, ყოველთვის შეიძლებს დაუახლოვდეს მოსწავლესა და რიგთანად იმოქმედოს მის გონებასა და ზნეობაზე. აი დაღვა სადილობის დრო, და რა კარგი იქნება, თუ მასწავლებელნი მოწადენებთან ერთად ისაძილებენ. ეს საზოგადო სტრული დაახლოვება მათ; აქ არ არის სხვაობა, აქ მარხვა დღეებში სახსნილობს არა ჰამენ. მაცადინობის შემდეგაც კი ის დრო, რომელიც დანიშნულია მოსწავლისთვის, შეიძლება სასარგებლოდ იქნეს მოხმარებული სასწავლებელში, სადაც იმეკონება ბაღი და ბოსტანი. ასეთ სკოლებში გიმნასტიკას ჰაერ დახშულ და მეტეერიან ოთახებში კი არ თამაშობენ, არამედ ვაშლი მინდორზე ერთობიან მუშაობას, რომელიც სასარგებლოა მოწადენთა სხეულის სავარჯიშოთ და მასთან ესევე ვარჯიშობა გამოხადებია მოწადენთათვის, როცა ისინი სკოლიდან გამოვლენ. ეს საზოგადო მუშაობა ბაღში, ბოსტანში, სკებზე, ანუ განსაკუთრებულს სახელოსნოებში, რომლებიც ერთი რომ შემოსავალს იძლევიან ფულით და სანოვავით სასარგებლოდ სკოლისა და მასწავლებლისა, ხოლო მეორეს მხრით ასეთ მუშაობის დროს მასწავლებელნი უახლოვდებიან მოსწავლეთ. საღამოს ლოცვისათვის მოსწავლენი და მასწავლებელნი ხელახლად ერთად იკრიბებიან. მოსწავლეთა საწოლი ოთახის მახლობლად ცხოვრებს მასწავლებელი, რომელიც ძილის დროსაც კი ყურს უდგამს მოსწავლეთ. სკოლის ცხოვრების ასეთ პირობათა შორის მასწავლებელთ ყოველთვის შეძლება ეძლევათ ყური უგდონ, რომ მოსწავლეთ შეითვისონ კეთილი ჩვეულებანი, რომ მათ იცხოვრონ უბრძოლველ შორის მშვიდობით და თანხმობით, რომ არას დროს არ იხმარონ არა თუ საღამოდაც, არამედ უზრდელი სიტყვაც კი, რომ იგინი არ მოეყარან ცხოველებს სასტიკად, არ მო-

უშაონ ფრინველებს ბუდეები; მასწავლებელნი უნდა ცდილობდნენ, რომ მათ მოსწავლეთ გარეგანი სახეც ჰქონდნეს შესაფერი, ყოველთვის დაეარსებინათ უნდა ექნესთ თმა, ხელობი დაბანილი, და უყვარდეთ სიწმიდე. ასეთ ზრუნვას მეორე-კლასიან სკოლებში აქვს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომ, რომ ამ სკოლებში მზადდებიან მასწავლებელნი წერა-კითხვის სკოლებისათვის. ეს მასწავლებელნი, თუ ივინი შესაფერად იქნენ მომზადებულნი მასწავლებლობისათვის, შეიძლებენ კარგად ასწავლონ ემაწვილებს, ჩაუნერგონ მათ კეთილი ქრისტიანული გრძობანი, რომ მათ თავი დასდონ მართლ-მადიდებელი ეკლესიისათვის, უყვარდნენ მეფე და სამშობლო.



ზედაგოგიური კურსები გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის მარტვილში.

როგორც წარსულს წეღში, ისე ამ წელსაც გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამოსწავლო რჩევამ გამართა საზაფხულო კურსები ხსენებული ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის. წარსულს წეღში ხსენებული კურსები გაიხსნა ქ. ქუთაისში, წელს კი კურსები გასახსნელ ადგილად არჩეულ იქმნა სოფელი მარტვილი, სადაც კურსები გაიხსნა 4 ივლისიდან. კურსებზე გამოცხადდა 100 მასწავლებელი.

დექციებს დიდაქტიკის და მეტოდიკის შესახებ უკითხავდა მასწავლებლებს თვითონ ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ. თ. ქორდანი; სამგალითო სკოლას განაგებდა სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი მასწავლებლის მასწავლებელი ბ. სტეფანე ძიძისკარიშვილი; ქართულ საეკლესიო გალობას ასწავლიდა მასწავლებელთ ბბ. ფ. ქორიძე და დ. ჭალაგანიძე, ხოლო სღავიანურ გალობას — ბ. ანდრო ბენაშვილი. გარდა ხსენებულ მასწავლებელთა გავრეითებს აქლევდნენ სხვა-და-სხვა საგნებში მასწავლებელნი; მღვდელი ივ. ბობოხიძე, ტრ. ჯოხტაბერიძე და დ. ჩიმაკაძე.

კურსების გამგე აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობის სწვა დარგებსაც, როგორც, მაგალითად, აბრეშუმის მოყვანას და მეფუტკრეობას. მეფუტკრეობის შესახებ დექციონებს კითხულობდა ბ. სპირიდონ მატარაძე, ხოლო აბრეშუმის ჭიის მივლის შესახებ დექციების კითხულობდა ტფილისის სააბრეშუმო საფეხურის მებარეშუმე ი. ქუთათელაძე. კურსებზე მეოფ მასწავლებელთა შორის 46 კაცი ისეთები იყვნენ, რომელთაც წარსულ წელსაც მოისმინეს დექციები აბრეშუმის მოყვანის შესახებ. მათში 30 კაცი წელს მცხოვრებთ ურიკვებდნენ ჭიის თესვას და თვითოვე ყურადღებას აქცევდნენ ჭიის მოვლას და თითოველ მათგანმა აბრეშუმის შარჭილის გაყიდვით შეიძინა 150 მანეთი. ამის გამო მრავალნი ღიჯის ხალისით დაიარეზადნენ დექციებზე იმ საგნების შესახებ, რომელიც მათ უფრო მოსწონდათ. ბევრმა მასწავლებელმა მოისურვა მიკროსკოპები, რომ ამ იარაღის საშუალებით შეიძლონ აბრეშუმის ჭიის იმ თესვას სკარჯე და უარვისობა, რომელიც გრცელდება ხალხში, რომ ამით დაიფარონ სოფელელები იმ გნებისაგან, რომელიც მათ უცოდინარობისა გამო ხშირად ეძლევათ. სოფელელები ხშირად ბრმებით უჯერებენ ზოგიერთ მატყურას ვაჭრებს, რომელნიც ხალხში ჭიის თესვას ასადებენ და რომელთაც სახეში მარტო შირადი ინტერესები აქვსთ. კურსების გამგემ უკვე გამოიწერა რამდენიმე მიკროსკოპი.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსის ყოვლად სამადვადლო აღექსანდრეს განკარგულებით იმ დექციებზე, რომელთაც უკითხავდნენ მასწავლებელთ მეფუტკრეობისა და აბრეშუმის მოყვანის შესახებ, ესწრებან მონასტრის ძმანნი. ყოვლად სამადვადლო აღექსანდრეს აზრად აქვს, რომ იმისდამი რწმუნებულ მონასტრებში გავრცელოს მეფუტკრეობა და მებარეშუმეობა. ყოვლად სამადვადლო აღექსანდრემ სთხოვა მებარეშუმე ი. ქუთათელაძეს, რომ მან ამ საგანს ყურადღება მიაქციოს.

არ შევიძლია აქვე არ ავდინიშნოთ ისიც, რომ კურსებისთვის სწორეთ მშენიერი ადგილია ადრჩეული. სოფელი მარტვილი შირველი საზაფხულო ადგილია, მთელი ზაფხულის განმავ-



ლობაში აქ სავსე ძვირად აღემატება 25%. დაბა ხონიდან და ახალ სენაიჯგან მუდამ დადიან მარტივდში ეტლები და ომნიეუბა.

გამგე კამპასიას, რომელც განაგებს კურსების საქმეს, მომავალ წელში იმედი აქვს, რომ იგი გამართავს საზოგადო ბინას კურსებზე დამწრე მასწავლებელთათვის.

კურსებზე მეცადინობა 15 აგვისტოს გათავდა.

წარილი ამბობაზრგინად.

თუმცა ადგილობითი გასუთებს არა ერთ გზის უცნობებია ჩვენი საზოგადოებისათვის გაჭირვებული მდგომარეობა კავკავში მცხოვრებ ქართველებისა, მაგრამ არაფერი დანახება არ აღმოუჩენია საზოგადოებას ამ საქმისათვის. განსაკუთრებით კავკავში მცხოვრები ქართველები ძლიერ შეწუხებული იუენენ მით, რომ ისინი მოკლებულნი იუენენ ქართულ წირვა-ლოცვას. ამ მხრით ჩვენ მოძმეთა გაჭირვებულ მდგომარეობას ვეროვანი უუზადდება მიაქცია ზატოცემულმა ვლადიკავასის უოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსმა ვლადიმერმა. მათმა მეუფებამ მოახსენა უშიდგეს სინოდს, რომ კავკავში მცხოვრები ქართველები ქართულ წირვა-ლოცვას არიან მოკლებულნიო, ვინაიდან საშუალება არა ევაქეს, რომ მათ

თვის საკუთარი მღვდელი ვიკოლიორი ამისათვის გამოითხოვა უში. სინოდისაგან ათასი მანეთი, რომ იმ შესაბამის, სადც სკოლა აქვს გამართული საქართველოში წირვა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას კავკავში, სასახლის ეკლესიას მოაწეროს და დაუნძნოს მათ ერთი ქართველი მღვდელი საღმრთო სჯულის მასწავლებლად და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას შესასრულებლად. ჭეშმარიტად სამაგალითო და შესანიშნავი მზრუნველობაა ეს მათი მეუფების ვლადიმერის მხრით, როცა მათმა მეუფებამ უშიდგეს სინოდში იეთხა თავის წარდგენილობის შედეგი და შეიტყო, რომ უში. სინოდს ათასი მანეთის გამოკსავნა გადაწვეიტაო, ეს ამბავი მათ მეუფებას ძლიერ სასიამოვნოდ დაურხა. ესლა წარმოიდგინეთ, მკითხველო, თუ რამდენათ სასიამოვნოა ეს ამბავი ეველა ქართველთათვის, ღმერთმან აკურთხოს და ადღეგრძელოს მათი მეუფება ასეთი მებრალეებისა და მზრუნველობისათვის, რომელიც მათმა მეუფებამ გამოიჩინა კავკავში მცხოვრებ ქართველების შესახებ. ღმერთმან სხვა მრავალ მწვემსთაც მთაუნერგოს გულში ასეთი ზატოხასანი და სამაგალითო მზრუნველობა თავიანთ სამწესოთა ზედა...

ფეგ. ღავით დამასაძე



მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა მოგზაჲნება მოსკოვში 15 აგვისტოს და მოსკოვის დღესასწაულთაგანი ღვთისმშობლის იმპერატორის ალექსანდრე II. ძაბლის ბასნიხა ვაჟო.

15 აგვისტოს დილიდან მთელი მოსკოვი სადღესასწაულოდ მოიერთო ხელმწიფისა და დედოფლის დასახვედრად. ის გზა, რომელზედაც მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ უნდა გაეველოთ ნიკოლოზის სადგურიდან დიდი კრემლის სასახლემდე, ბარაღებით იყო მართული.

ნაშუადღევს 4½ საათზე დანიშნულ ადგილს მათ უდიდებულესობათა შესახვედრად შეიკრიბნენ: მინისტრები, სახელმწიფო რჩევის წევრნი, მთავართათვის მართლები, სენატორები, სტატს-სეკრეტარები, საპატიო აბეკუნები, ყველა ისინი, ვისაც აქვს ფონზელი იმპერატორის ალექსანდრე მეორისა, სასახლის კარის კაცნი, იმპერატორის ალექსანდრე მეორის ამაღლის წევრნი, სამოსამართლო უწყების წარმომადგენელნი, მოსკოვის ადმინისტრაციის უფროსნი, სამხედრო წოდების მოხელენი, გიორგის ჯვრის კავალერნი, სათავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლნი, მოსკოვის გუბერნიის მარზების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, საგუბერნიო სამაზრო ერთობათა წარმომადგენელნი, სტატბატო და საგუბერნიო ქალაქებზე მოურავები.

საიმპერატორო მატარებლის მოახლოება აუწყა ქალაქს ივანეს სამრეკლოს დიდი ზარის ხმამ. ამ ზარის ხმასთან გაისმა მთელი სტატბატო ქალაქის ეკკლესიებში ზარის რეკა. 5½ საათზე მატარებელი, რომელშიაც ისხდნენ მათი უდიდებულესობანი, წყნარად მოუახლოვდა სადგურს.

როცა მატარებელი შეჩერდა, პირველად გამობრძანდა ვაგონიდან მისი უდიდებულესობა დედოფლითი ალექსანდრა თეოდორეს ასული, შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი, რომელსაც თან მოჰყვებოდა მოსკოვის გენერალ გუბერნატორი დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავარინა ელისაბედ თეოდორეს ასული და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. ხელმწიფე იმპერატორი მივსალმა დიდ მთავარებს და მთავარინებს, შეკრებილ პირთ და შემდეგ წაბრძანდა დიდ კრემლის სასახლეში. ნიკოლა-

ევის სადგურიდან სასახლემდე მარცხენა ^{საქართველოში} ქარიცხული იყო ჯარი.

ყველა ეკკლესიებში, რომელნიც სადგურიდან კრემლის სასახლემდე არიან ჩამწყვიტებულნი, სამღვდლოება შემოსილი გამოდიოდა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა შესახვედრად. მღვდლები ჯვარს სახავედნ მათ უდიდებულესობათ, ხოლო მთავარ-დიაცენები უკმევდნ, ხოლო მღვდლებით ნეთ ანთებული საწითლები ეკავთ ხელში.

16 აგვისტოს, დილის ცხრა საათზე მიძინების ტაძარში შეიკრიბნენ: მიტრაპოლიტი, ყველა მღვდლ-მთავრები, მოსკოვის მონასტრების წინამძღვარნი, სემინარიის რექტორები, დეკანოზები კანსისტორიის წევრნი და უფროსი სამღვდლოება.

სწორეთ მათ საათი იქნებოდა, რომ ივანეს სამრეკლოდამ მოისმა დიდი ზარის ხმა, რომელშიაც აუწყა საზოგადოებას, რომ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი გამობრძანდნ სასახლიდან. როცა იმპერატორი გამობრძანდა, ეგრედ წოდებულ, გიორგის დარბაზში, აქ მოსკოვის გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღოლი თავადი ნ. ტრუბეცკოი შემდეგის სიტყვით მივება მათ უდიდებულესობათ: «თქვენა იმპერატორებითი უდიდებულესობაჲ! განუსახლრეღის სიხარულთ გვეგებებათ თავდაზნაურობა, დილო ხელმწიფე, და თქვენც დედოფალთა იმპერატრიცაჲ, იმ ადგოლს, სადაც რუსეთის ხალხის საერთო სიყვარულით აგებულ იქნა ძეგლი თქვენის პაპის ნეტარ სხენებულისათვის. რუსეთის თავდაზნაურობა დიდის მოწიწებით და მადლობით იგონებს დღეს ხელმწიფე განმთავისუფლებელის დაუვიწყარ მოქმედებას. ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით დავსლოთ, საყვარელო ხელმწიფე, ჩვენი ძალა, სიკაცხლე თქვენს სამსახურად და რუსეთის გასამლიერებლად». როცა ხელმწიფე მოუახლოვდა ქალაქის მოურავებს, ქ. მოსკოვის მოურავებმა მიმართა მათ უდიდებულესობათ სიტყვით.

შემდეგ მათი უდიდებულესობანი გამეზგაზრენ მიძინების ტაძარში, სადაც მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა შესახვედრად ტაძრის სამხრეთის კარებთან შეიკრიბნენ: ტაძრის მღვდლები ჯვრებით და ღვთის მშობლის ხატებით, პროტოდიაკონი და უფროსი მთავარდიაკონი საცეცხლოური, იპოდიაკენები ტრიკირით და დიკირით, მიტრაპოლიტი ჯვრით, რომელსაც აქეთ-იქით უღდენენ საყვარლები:



იმერატორი ალექსანდრე II
 სიყმაწვილეში.



იმერატორი ალექსანდრე II ტახტზე ასვლის დროს.


ერთი ჯერის დასადგბელით და მეორეს ხელში ეკავა აიაზმის წყლის ჭურჭელი; შემდეგ იდგნენ მღვდელმთავრები, დეკანოზები და სხვა სამღვდელთა. მისმა მალალ ყოვლად უსამღვდელთაგან მოსკოვის მიტრაპოლიტმა ვლადიმერმა ჯგერაი გადასახა და აიაზმის წყალი ასხურა მათ უღიღებულესობათ.

მათი უღიღებულესობანი ეამბორენ ჯვარს და ტაძარში შებრძანდენ. წირვა შეასრულა მიტრაპოლიტმა მრავალ შოასანი და თეთროსანი სამღვდელთაგან თანამწირველობით.

მიძინების ტაძრიდან წირვის გათავების შემდეგ მათი იმერატორებითი უღიღებულესობანი გაემგზავრენ ჩუღოვის მონასტერში.

ნაშუადღევის ორ საათზე იმ მოედანზე, სადაც

ძგლია დადგმული ღვთივ განსვენებული იმერატორის ალექსანდრე II სახსოვრად, გამწკრივდნენ გვარდიისა და გრენადერის კორპუსები, აგრეთვე ის რაზმები, რომელთა შეფეთადაც იმერატორი ალექსანდრე II ითვლებოდა. რამდენიმე წამის შემდეგ ჩუღოვის მონასტრიდან გამობრძანდა მათი იმერატორებითი უღიღებულესობანი დიდ მთავრებთან ერთად და თავიცი ამალით. დაუკრეს ბარაბანები, დაუკრა მუსიკამ. ხელმწიფემ ჩამოუარა ჯარს და მიესალმა. პასუხად «ვაშა» და საერო საგალობელის ხმა გაისმა. შემდეგ ხელმწიფე საიმერატორო გვარეულობის წევრებთან ერთად ისევ ჩუღოვის მონასტერში წაბრძანდა. საიდანაც ცოტა ხნის შემდეგ გამოემგზავრა. შემოსილი სამღვდელთაგან, რომელიც



იმპერატორის ალექსანდრე II ძეგლი.

მოსახლენებენ ბაირაღებს და ხატებს, სამღვდლოვებს წინ მოჰქდოდა მოსკოვის სამღვდლოება, მოსკოვის ქორ-ეპისკოპოსნი და მიტრაპოლიტი ვლადიმერი. მათ შემდეგ მობრძანდებოდნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი.

სამღვდლოება, მათი უდიდებულესობანი და სამეფო გვარეულობა დადგნენ ძეგლის გარეშეშეშე ამაღლებულ ადგილზედ. მიტრაპოლიტმა შეასრულა სამადლობელი პარაკლესი, წაიკითხა ლოცვა მუხლ-მოდრეკით. ლოცვის შემდეგ პროტორდიაკონმა წარ-

მოსთქვა მრავალგზიგრობა; პროტორდიაკონმა დაიწყო: «საუკუნო განსვენება ჩიანიქე»... ხელმწიფემ დაიხურა ტული, წარდგა ჯარის წინ და უწინამძღვრა: პროტორდიაკონმა გააკრძელა: „მიანიქე, უფალო, განსვენებულსა ჩონასა შენსა, უკეთილ-მსახურესა იმპერატორს ალექსანდრე II და მიეც მას საუკუნო ხსენება.“ ამ დროს მთელმა ხელმწიფის გვარეულობამ, სამღვდლოებამ და ანაღამ მუხლი მოიყარეს ძეგლის წინ. ჯარმა პატივისცა ძეგლს.

იწყეს ზარების რეკა და ზარბაზნებიდამ სროლა. 320-ჯერ ისროლეს ზარბაზანი, მგალობლები ვალოზენ: «ნეტარ იყოს ხსენება»-ს. ამ დროს ძეგლს ფარდა ჩამოხსნეს. ხელმწიფე დადა ძეგლის წინ და პატივი მისცა. ვალოზა გათავდა; ჯარმა ხელახლა დაიხურა ქულები, ჩამოუშვეს თოფები; პროტოლიაკონმა წარმოსთქვა: ქრისტეს მოყვარე რუსეთის ძღვევა-მოსილი მხედრობას—მრავალ ეამიერა.— ხელახლად შეიქნა ზარების რეკა, ზარბაზნების სროლა, მგალობლები ვალოზენ: «მრავალ ეამიერს»; მიტრაპოლიტმა ჯვარი გადასახა მეფეს და ხალხს, ასურა ძეგლი; ხელმწიფე, დედოფალი და მთელი სამეფო გვარეულობა ემთხიერ ჯვარს. აქედან სამღვდლოება იმავე წესით გაემგზავრა ჩუღოვის მონასტერში. ხელმწიფე ჯარს გაუძღვა და ძეგლის წინ გაატარა. მუსიკა სავალოზელს უკრავდა, ხალხი განუწყვეტლად «ვაშას» გაიძახოდა.

საღამოს რვა საათზე დიდს კრემლის სასახლეში სადილი იყო გამართული წმ. გიორგის ორდენის კავალერთათვის, უმაღლეს მოსამსახურე პირთათვის, ზოლო, ეგრედ წოდებულ, გიორგის დარბაზში სადილი იყო გამართული თვად-აზნაურთათვის.

არქიმანდრიტის კირითის ეპისკოპოსად სახელდება და ხელდასხმა.

22 აგვისტოს, შაბათს, შუადღისას, საქართველოს საეპარხოსოს დარბაზში მოხდა სახელდება ეპისკოპოსად არქიმანდრიტის კირიონისა, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ იქნა ალავერდის მღვდელ-მთავრად, ქართლ-ჭახეთის ეპარქიის მეორე ქორ-ეპისკოპოსად... სახელდების წეს-რიგს მრავალი ხალხი დაესწრო. სახელდება მოხდა საქართველოს ეპარხოსოს მალაღ-ყოვლად სამღვდლო ფლაბიანეს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს, იმე-

რეთის ეპისკოპოსის ბესარიონის, გორის ეპისკოპოსის სის ლეონიდეს და სინოდის საქართველოს კანტორის პროკურორის თანადანსწრებით.

ახლად ეპისკოპოსად სახელდებულმა არქიმანდრიტმა კირიონმა წარმოსთქვა გრძნობით აღსავსე სიტყვა, რომელსაც შემდეგ დავებუდათ.

სიტყვის გათავების შემდეგ მთავარ-ღიაკონმა მ. კარგარეთელმა წარმოსთქვა «მრავალ-ეამიერის» ხელმწიფე იმპერატორისა, მისის უაგვესტოესის მეუღლისა, დედისა და მემკვიდრისა, აგრეთვე უწმიდისისა სინოდისა და ეპისკოპოსად ახლად სახელდებულისა არქიმანდრიტის კირიონისა.

23 აგვისტოს, ეპისკოპოსად აკურთხეს, არქ. კირიონი. მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობა, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე და მანვე შეასრულა წესი კურთხევისა. ექსარხოს ეხმარებოდენ ყოვლად უსამღვდლოესნი ეპისკოპოსნი გურია-სამეგრელოსი ალექსანდრე, იმერეთისა—ბესარიონი და გორისა—ლეონიდე. წირვის შემდეგ, გარდაცა რა ეპისკოპოს კირიონს კვერთხი, მისმა მეუფებამ ექსარხოსმა მცირე სიტყვით მიმართა: „აილიე ესე კვერთხიო—სთქვა მინ, დაჰმწყეს სამწყსო ქრისტესი, აკურთხე სამწყსო შენი და წარიყვანე იგი გზასა სიმართლისასა, სამართლიანობისასა და ქეშპარიტ სარწმუნოებისასა».

სამღვდლოების საშუალებად.

ჩვენმა სამღვდლოებამ კარგად უწყის, თუ, ხან.ღის.ხან, რა საშუალება სცეცხლურისთვის ცეცხლის შოვნა. მართალია, ჯერ არაგვის გამოუკვლევა, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ეს უბრალო მასალა, რომელიც მიუციალებლად საქართველოს დღის-მსახურების დროს, კარგა ფასად ჯდება, სმარად ზოი მკურის ნახშირი

ოთხ-ხუთწირობაზე არ ეოფნის ძველდელს რატომ? მიტომ, რომ თუმიცა მოთხოვნებიანთვის ცოტა არის საჭირო, მაგრამ ბევრი კი ტუეილა იწვის. სადაც შეშას ხმარობენ, იქ კიდევ უფრო მეტი ხარჯია. ახალი გამოგონებული საშუალება ძლიერ იაფიც არის და საადვილოც. ეს საშუალება არის ნახშირის მსკავსი ჰატარა ბეერი, რომელიც საცეცხლურში ჩაეტევა, ხანთლით ან წუმწებით მოუკიდებთ ცეცხლს და წირვის გამოხსენამდის საცეცხლური მხათ არის. არც საბერველი, არც ტუეილა უბრალო სიარული გარეთ სენაკში ბარც დაგვიანება ცეცხლის მოტანისა არ აწუხებს მწირველ ძველდელს. ცეცხლის უქონლობით ხშირად საქმე ბრკოლდება ხოლმე არა თუ მიურუებულ სოფლის ეკლესიებში, არამედ კათედრის ტაძრებშიაც.

ამისათვის ჩვენ ესლა მოვიტანეთ ჰეტერობურგადამ კარგა ბლომით ზემო აღნიშნული ახალი მასალა, რომელიც იმქონება საუნარქიო ნივთების საწობაში და ვგეგმავს მსურველს შეუძლია მოიპოვოს თითო სამ კანკეიკათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერთი გასინჯვის შემდეგ არც ერთი ძველდელი არ ისურვებს მუშის და სხვა ნახშირის ეიდვას ეკლესიაში სახმარებლად. თუ ერთ ძველდელ-მოქმედებაზე არ დაიწვიან ერთი, მაშინ შეიძლება დაქრობა, თუ რამეს გადაამსობთ ზემოთ.

იმერეთის საეპარქიო ნივთების საწყობის მმართველი
დკმ. დ. დამბაშაძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

საქართველოს საექსპორტოსის სამღველოებებს უნდა ვახაროთ, რომ ამ წელში მათ დაენიშნათ სამოცი ათასი მანეთი, რომელიც სინოდალნი კანტორამ უნდა გაუნაწილოს იმ ეკლესიების კრებულთ, რომელნიც უფრო ღარიბნი არიან მრევლით და სამრევლოსაგან შემოსავლით.

ქუთაისის სასულიერო სემინარიასთან ამ წლიდან არსდება სამაგალითო სამრევლო სკოლა. საჭირო თანხა როგორც სახლის დასაქირავებლად ისე მასწავლებლისათვის უკვე დანიშნულია თჳმ. სინოდისაგან.

ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად დაინიშნა ამავე სემინარიის საღმრთო წერილის მასწავლებელი მადისტრი მღვდელი მ. არხანგელსკი.

8 ამ აგვისტოს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში გამართული იყო სასულიერო კანცერტი ლაერის მგლობელთა გუნდისაგან. კანცერტზე დაესწრო ინგლისის ეკლესიის სასულიერო პირნი, რომელთაც რუსული გალობა ძლიერ მოეწონათ.

რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში წელს სრულდებოდა არაფერი მოსულა და ამიტომ შიშხილობას მოეციან.

ამას წინეთ ვახტებებში სწერდენ, რომ გამოგონებულია საშუალება, რომლის ძალით ქვიტირის სახლის ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადატანა შეიძლება დაუშლილად. ამ საშუალებით მოსკოვში ერთი დიდი სახლი დაურღვევლად გადაიტანეს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ოცი საჯენის მანძილზე. სახლი მაგრათ კი იყო შეკრული რკინით.

„ქვესის კერა“

მაძა კაცი და დედაკაცი.

IV.

ჭაბუკა ქოაწინებაშა.

(რუსულიდან)

გაგრძელება *).

„დღეს სოფლის მღვდელს ეძლევა: ჯამაგირად ხაზინიდან 150 მანეთი ან ცოტა მეტო, პატარა ნაჭერი მიწა სახნავ-სათესად და იშვიათად ეკვლე-სისთან სახლიც. რასაკვირველია, ცოლ-შვილის პა-ტრონის მღვდლისათვის ეს საკმარისი არ არის, ამი-ტომ მღვდელი ყოველ ღონესა ღონობს, რომ გლე-ხებს მეტი ფული გამოართვას საეკლესიო წესების აღსრულების დროს. საზოგადოდ მართლ-მადიდებე-ლი მღვდელი მეტად გაკვირვებულ მდგომარეობაშია: ან უნდა ნახევრად მშვიერ-მწუწრავალი იყოს, ან კიდევ გაღატაკებულ-გაღარიბებულ სოფელს უკანასკნელი გროში გამოართვას. ხოლო ეს უკანასკნელი ვარე-მოება ყოველად პატიოსან მღვდელსაც კი ამცირებს და ამდაბლებს ხალხის თვალში.

ჩვენის აზრით, სოფლის მღვდლისათვის საკმა-რისია ჯამაგირად 900-დან 1,500 მანეთამდე იმის მიხედვით, რამდენი მრევლი ეყალება და რაოდენ საქმეს გააკეთებს. სოფლის მღვდელი ისეთსავე პი-რობებში უნდა იყოს ჩაყენებული, როგორ პირო-ბებშიაც საერობო მკურნალია ჩაყენებული და ისევე ასრულებდეს თავის თანამდებობას, როგორც ეს უკანასკნელი ასრულებს. მკურნალი არჩენს უსას-ყიდლოდ თავის ნაწილის ყველა ავადმყოფთ, მაგრამ სამაგიეროდ მას საკმაო ჯამაგირი ეძლევა. მღვდელმა —სულიერმა მკურნალმა— უნდა შეასრულოს ყველა წესი უსასყიდლოდ, მაგრამ მკურნალივით იმასაც იძენი ჯამაგირი უნდა მიეცეს, რომ საცხოვრებლად ეყოს. დღეს სოფელში გლეხი არა ერთსა და ორ მანეთსა ჰხარავს. მაშინ-კი ათ-ათი შაურკი საკმა-რისი იქნება თითოზედ, რადგანაც ათ-ათ შაურობით სულ 60 მილიონი მანეთი შესდგება, ამასთან არამც თუ სარწმუნოებრივი გარნობა აღარ შეილახება, არამედ უსამართლობასაც ბოლო მოეღება, რადგანაც ეხლა წმირია ისეთი მავალითები, რომ ღარიბი, არა-ფრის არ მქონე გლეხი მღვდლის სასარგებლოდ წელიწადში რამდენსავე მანეთს იხდის, ხოლო მდი-ღარი სულ 50 კაპეიცს.

შეუბამამოა ის, რომ მღვდელს, რომელიც სა-ხელმწიფოს ემსახურება, არ ეძლევა ჯამაგირი ხაზი-ნიდან ისევე, როგორც ეძლევათ სხვა მოსამსახურეებს—მოხელეებს.

თითქო ყველამ გაკიცხა, როდესაც იუმორი-ულმა ჟურნალმა „ჰუნჩა“-მ ერთ წერილში ურჩია ახალ-გაზდებს, რომ ცოლი არ შეირთოთო. როგორც საზოგადო კანონი, ეს, რასაკვირველია, ცუდი რჩე-ვაა. ის მიზეზები, რომელთა მიხედვით საბერძნეთი და რომი მათი ზნეობითად დაცემის დროს უარს ჰყოფდნენ ქორწინებას, მართლა რომ სულ უბრა-ლონი და წვერიმალბი იყვნენ. საბერძნეთში მალე მოუღო ბოლო ამ მიზეზებმა ყოველივე კეთილს, მშველი დიდება შეიმუსრა, და ძლიერება მტერად იქცა. გმირი მართონისა და სალამინისა, თერმოპი-ლის პატრიოტი, რომელმაც ერთ დროს ალტაცებით წარმოსთქვა: «არქეთ სპარტას, ვინც ისევ მშვიდო-ბით იგი იხილოთ, ერთგულნი ჩვენი ვალისა ყველანი ერთად აქ დავიზოცეთო», და ბევრი სხვა ამ მიმარ-თულების ბერძნები ფუფუნებისა და განცხრომის მოყვარებამ მალე გარდაჰქნა იმ საცოდავ ადამიანებად, რომლებსაც საზოგადო და საძაგლად გვი-სურათებს იუვენალი.

რომაელები, რომელთა უძლეველმა და შეუ-პოვარმა სიმხნემ მიეღეს ქვეყანას სძლია, გაირყვნენ, ვასათუდენ, ასე რომ მართო უპატრონო პირად კმაყოფილებაზე ლა ზრუნავდენ, ვიდრე «არ გაჰქრა თან-და-თან დიდება რომისა, როგორც ვარსკვლავი»,

(* იხილეთ „მწყემსი“ № 14, 1898 წ.



და რომაც, რომელსაც თავანს სცემდნენ უძლიერესნი ხელმწიფებანი, არ დალია თავისი სიკაცხლე შესაბარლისად.

თითქო აგვისტოს დროსაც და უმეტესად მის მემკვიდრე ხელმწიფებისა, სახელმწიფო მმართველობამ საჭიროდ სცნა თავისი არსებობის დასაცველად ჩარეულიყო ბევრ ისეთ საქმეებში, რომლებიც სახელმწიფოს ძირის გამოთხრას უქადადენ. გამოიციენ კანონები, რომელთა ძალით უპირატესობა და უადრესობა იმათ ენიჭებოდათ, ვისაც სამი შვილი ამოუჩნდებოდა კანონიერი ქორწინებისაგან, ხოლო ეგოსტურ მარტობას სასტიკად კიცხავდენ,

ამაზედ კიდევ უფრო ადრე პლაკტი თავის დრამებს და ტერენცი—პიესებს ქორწინებით აბოლაგებდენ: მშობლებს დიდ შეწუხებაში და მოუხვეწრობაში აყენებდენ, სანამ ქორწინება მშვიდობიანად არ გათავდებოდა. ქორწინების სიწმიდით დაცვა და მისადმი წაქეზება ერთი მიზეზთაგანი იყო ებრაელთა სიმკვირცხლისა. ებრაელთა წიგნებში, როგორც სარწმუნოებრივის ისე საერო შინაარსებისაში (ებრაელებში ძველს დროში ღრმად მოაწმუნენ ერს წარმოადგენდენ) ხშირად შეხვდებით ქორწინების შესხმასა და მოწონებას. ტალმუდისტები კი დიდ სასიროცხოდ სთვლიდენ, თუ ოც-და-ერთის წლის ებრაელი უცოლო აღმოჩნდებოდა. „უცოლო ებრაელი კაცი არ არისო, ამბობს ტალმუდი, „ვინაიდან ნაბრძანებია: მამა კაცი და დედაკაცი—ცოლი, შექმნა უფალმა“, მეორე ადგილს სწერია: „თუ ოცის წლის შემდეგაც ყმაწვილი უცოლოდ რჩება, ის მარად ჟამ ცოდვებშია ჩაფლული. ამ ხანამდე წმიდა ერთ არის (იყავნ კურთხეულ სახელი მისი) უცდის ყმაწვილის მომაზღებას საქორწინოდ, ხოლო თუ ამის შემდეგაც უცოლოდ დარჩა, მაშინ დასწყველის და შეაჩვენებს“.

მე არ მჯერა, რომ ეს ებრაელთა თქმულება წაითხული ჰქონდეს ლორდ ტენისონს, მაგრამ იგიც ამასვე ამბობს: „იმ დროიდანვე, რაც კი ჩემ მესხიერებას ახსოვს, და ქვეყნის ბედ-იღბლის ტრი-

აღზე დაფიქრებულვარ, მიყვარს დედაკაცის ხოლმე ვინც სხვათზე ცხოვრობს, ის ნახევარ სიკაცხლეს მოკლებულია, მხოლოდ თავის თავს ეთავყვანება, ან წამებულია ცხოვრების მღელვარებისაგან, და ან მისი სიხარული დანაშაულობაზედ არის აგებული“.

ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით ყველა იმ ზარალსა და უბედურებას, რომლებიც მოსდევენ თავ-მოყვარულ და მანკიერ უცოლოდ ცხოვრებას. მე ვლოცავ მხოლოდ მათ, რომელნიც ღვთის შეწყვენით ეპირებიან დაქორწინებას და ამ დროიდანვე იცავენ წმიდა, ქეშარიტ სიყვარულს, ზნეობრივ ერთგულებას, კავშირს მომავალ ქორწინებასთან, კავშირს, რომელიც დამყარებულია არა მარტო გმირულ გრძობაზე, არამედ მალღის სარწმუნოებრივ კანონზედაც.

განა ცოტა დაქორწინების მსურველთა შორის ისეთები, რომლებიც მეტის-მეტ კარგს იხამდენ, რომ დაემორჩილებოდნენ ბრძანებას «ნუ დაქორწინდებიო?» ღიად, არაან ისეთებიც და იმათ ამ რჩევას უნდა მიაქციონ ყურადღება:

1. მავალითად, როდესაც ახალ-გაზღამ კარგად იცის, რომ თავისი წინანდელი გახრწილი ცხოვრებით დაამახინჯა თავისი თავი წმიდა და მთელი ქორწინებისათვის, და თუ მან წრფელი გულით მოინანა თავისი უსჯულო მოქმედებანი, ის ზნეობრივად მოვალეა უფარვისად აღიაროს თავისი თავი უზალო და მშვიდობიანი ქორწინებისათვის. დიდი სიწამლდრე და დანაშაულობა იქნება მისი მხრით, როდესაც სრულიად უმანკო დედა-კაცსა და მომავალ შვილებს საშინელს სენს და სასჯელს გადასცემს, რომლებიც მან ბიწიერი ცხოვრებით მოიხვეჭა. მაშინაც კი, როდესაც ის პირადად უმანკოა, მაგრამ კარგად იცის, რომ მის მოდგმაში არსებობს მემკვიდრეობითი სისუსტე, სიგიჟე, ქლერქი, ან რაიმე ფიზიკური ნაკლი, უნდა დარწმუნდეს, რომ სხვა-და-სხვა გარემოებათა მიზნით ღმერთს ურგუნება მისთვის თავის-თავის უარ ყუთა. სრულად ნუ შესწუხდება იმაზედ, რომ



ეს მიმე სასჯელია მისთვის. უფალი უხვად მიუზღავს მას, ვინც დაუტოვა სახელისა მისისათვის ან მამა, ან დედა, ან ცოლი, ან შვილი. ასწილ მეტს ჯილდოს მიიღებს იგი ამისათვის, ვინც მსხვერპლის შეწირვისათვის.

მე ვიცნობდი ერთ კაცს, რომელმაც უარი სთქვა, მართლა, ასეთ შემთხვევაში ცოლის შერთვაზე. ის უმანკო იყო, და თუ ვისმისთვის საჭიროა ცოლ-შვილის აღერის უბედურებასა და გაუჭირების დროს, პირველად მისთვის იყო. მაგრამ მისი მამაც და ბიძაც თავის-თავის მკვლელები იყვნენ, გარდა ამისა მის მოდგმაში არსებობდა კიდევ ერთი საშიში ნაკლი, ძალიან ენინოდა, რომ რაიმე დროში მეც გამომაჩნდებოდა ეს ნაკლი—უჭკობაო, თუმცა ჯერ-ჯერობით არაფერი ეჩნებოდა. ამ მიზეზების მიხედვით გარდასწყვიტა უცოლოდ დარჩენა, რადგანაც კაცობრიობისთვის საუფაობესოდ უჩნდა თვისი შთამომავლობის მოსაზრება. მისი ეჭვი გამართლდა, და ცოლი რომ ყოვლია მაშინ კი ტრაგიკული იქნებოდა მისი აღსასრული. ახლა კი მშვიდობიანად და წყნარად დალია სული საზოგადო თაყვისფარში, სადაც თვალ-ყურს აღევნებდნენ და არ ანებებდნენ თავის მოკვლას.

2. არიან კიდევ ქორწინების დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებსაც უყურადღებოდ არ უნდა უშვებდეთ. უნუღვგო სიღარიბე, მომავალი ცხოვრების გაუმჯობესების იმედის დაკარგვა, ე. ი. სამუდამო სამუშაოს უქონლობა. მოუფიქრებლად და ქორწინება, როგორც ხშირად შერგებიან ღარიბი ვაჟები და ქალები, რომლებსაც არავითარი წყარო არ მოეპოვებათ ცხოვრებისთვის, გარდა დღიური ქირისა, მხეცური უზნეობა და მეტის-მეტე ველური თავმოყვარეობა! ამ გვარი ქორწინებანი აფუჭებენ საზოგადოებას, ამრავლებენ სუსტთა, უღონოთა, მოტაკთა, ნახევრად სულიერთა, რომლებიც მომავალ მოდგმის გულში მხოლოდ წყევასა და საყვედურს ბადებენ. როდესაც კაცს არ აქვს ცოლ-შვილის რჩენის საღასარი და მიუხედავად ამისა მინც ქორწინდება, ის თავის ზედს უწინააღმდეგება. ამ გვარი უგუნურება არა მარტო მას ადებს აუტანელს და მოამშლელს შრომას, არამედ მის ცოლ-შვილსაც უმოძობელი სიმშობისა და სიღატაკის ბაღეში ახვევს. ამ გვარი ადამიანი, საძლევდელია ის, თუ ერისგანი, დაწამაშავა საზოგადოების წინაშე, მისი საქმე არა-სოდეს არ გამოკეთდება.

3. მაგრამ როდესაც კაცი, ღვთის მფრთხილად არავითარ დაბრკოლებას არ ხედავს, მაშინაც მოუფიქრებთ უნდა აირჩიოს საცოლო. ყოველი ახალგაზრდა, რომელსაც ისეთი ოჯახიდან გამოჰყავს საცოლო, სადაც რაიმე მემკვიდრეობითი ავადმყოფობა არსებობს, მომავალი ცხოვრების შხამს იზაზღებს.

საფუძვლიანი და დინჯი მსჯელობის ახალ-გაზრდა ყოველთვის დარწმუნებული და მსურველია, რომ მისი შვილების დედა ჯანსაღი, გონიერი, და მრთელი უნდა იყოს, და ამ რიგად შვილებს საუკეთესოდ გარდასცეს მემკვიდრეობით საღ სხეულში სანი სული. ნუ გგონიათ, რომ ვითომც ეს ისეთი განუხორციელებელი ანგარიში იყოს, რომელსაც აშთობს სიყვარული. შეყვარება ველურად, მოუფიქრებლად, აჩქარებით, წინდაუხედავად, გრძობებისა, გონებისა და სინიღისის დაუკითხავად ბრმა, დაუდგრომელი ინსტიქტის გაყოლა და ამ გვარი დიდი საქმეების დროს თავის თავის ერთგულების დაღატაკი. დიად, შეიძლება ყმაწვილი გაიტაცოს მშვენიერმა გარეგნობამ, მაგრამ თუ მის საცოლოს სხვა არაფერი ღირსება არ ახლავს, მაშინ მალე დარწმუნდება, რომ მოშიბილავი გრძობა მაცდუნებელია, სილამაზე ამოიება, ხოლო კეთილ-გონიერი ცოლი ღვთისგან მოვლენილი ჯილდოა.

4. მე ურჩევ ახალ-გაზრდებს, რომ დიდხანსა და კარგად დაფიქრდენ, სანამ უზღულ ქალზე დაქორწინდებოდნენ. ხშირად ვყოფილვარ ისეთ ოჯახში, სადაც ყველაფერი უმგანოდ და უთავბოლოდ მიყრილ-მოყრილი იყო, ამიტომ ყოველთვის ფრთხილად შევადებდი ჩემ სამყოფად მიჩნეულ ოთახის კარებს, ვინაიდან არ ვიცოდი, რა და როგორ დამიხვდებოდა შიგ. ოჯახის სიწმიდე ღვთის მოყვარებლად უნდა იყოს ცნობილი, და უსუფთაობა კი ოჯახის განანადგურებელია. არც ერთი ძველი მეგობარი არ დადის იმ კაცთან, რომლის ცოლი ბინძურია, და მაშასადამე შეილებიც უპატიოდ, დაურეცხელ-დაუზანლები ჰყავს.

ერთხელ ერთმა გასათხოვარმა ქალმა სთხოვა თავის საქმროს კონვერტზე ადრესის დაწერა. სიჩქარით საქმრომ მთელი კონვერტი გასვარა მელნით. ქალი აინთო ამის დანახვაზე, და იმ წამიდანვე თან დათან უგრძობდებოდა გული საქმროზე, დაბოლოს გარდაწყვეტილი უარი უთხრა ცოლად გაყოლაზე. როდესაც ამ ამბავს მოგიყვებოდა ეს ქაქმრო,

ყოველივეს დასძენდა „ნახევრად მართალი იყო ის ქალიო“.

5. მაშინ, როდესაც ახალ-გაზდა ისე ირთავს ცოლს, რომ არ იცის, აქვს თუ არა მას წყნარი, მუდმივი ხასიათი, სიჩქარე ადუნებს, რის გამოც ვინ იცის, იქნება მრავალი წლის განმავლობაში ინანოს კიდევაც ამ გვარი შედღობა. ეს აზრი სამი ათასი წლის წინედ გამოითქვა: „უმჯობეს არს ზანზე ცხოვრება, ვინემ მოჩხუბარ ცოლთან მდიდრულ სახლშიო, ამბობს სოლომონი, „მოჩხუბარი ცოლი წყლის სადინელი მილიაო“, ამბობს იგვევ.

პეტრუჩიო — [შეშპაბრის კომედიილამ] ბრძნულად მოიქცა, რომ თავისი უკუღმართი ცოლი დამოირჩილა წინედ, სანამ ქალი ინსებერპლედდა მას. სახლ-გადოდ არავითარი უკიდურესი გარემოება არ ადგია ახალგაზდას, რომ მიანცა და მიანც შედღობით უარვისი საცოლო აირჩიოს. მხოლოდ სულელი დაქორწინდება ისეთ ქალზედ, რომელსაც კარგად ან სრულიად ვერ იცნობს. პირის სახეც მაჩვენებელია ზოგჯერ სულიერი თვისებისა, მაგრამ უფრო ზშირად კი შემუშნველად მიუყვართ შეყმდარ დასკენაზე. ის კაცი, რომელიც ხშირად არის იმ ოჯახში, სადაც მისი საცოლო სცხოვრებს, მეტის-მეტე სულელი უნდა იყვეს, თუ ვერ იცნა და ვერ მიხვდა მის ხასიათს, სანამ დაქორწინდებოდეს საცოლოს მამასთან, დედასთან, ძმებთან და დებთან განწყობილება-დამოკიდებულების მიხედვით. უკეთუ ხედავს, რომ იმათთან კარგი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ საზოგადოდ თავმოყვარეობა ემჩნევა, მე ურჩევ, რომ დროებით დაიკადოს.

მე ვიცნობდი ერთ მშვენიერს, მზიარულს, მაგარი ხასიათის კაცს. ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო მან შეერთო ულამაზო, ხანში შესული, უფრო, ულახათო ქალი. არ ვიცი, როგორი გამოხდა ეს ქალი პირადად მისთვის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ცოლის შერთვამდე თუ ურიცხვი მეგობრები ეხეივნენ ვარს, შემდეგ კი ერთიც ვერ ბედავდა მასთან მისვლას, თუმცა წინანდებურადვე უყვარდათ და პატივსაც სცემდნენ. მისი ცოლი, სიძუნწისა გამო იყო, თუ მეტის-მეტე სარწმუნოებრივი გრძობებისა გამო, რაც გულ ჩახურულობად გადაიქცა, ისე გულ-ცივად უხადებდა ქმრის მეგობრებს, რომ მეროე ხელ აღიარავის შეეპატიებოდა. უხასიათო ცოლი მეგობრებს უჟარგავს ქმარს.

6. მაგრამ თუ რომელიმე ნაკლი მომწამელითა ცოლ ქმრობის კეთილ-დღეობისა, როგორც ფილოქსერა ვენახისათვის, რომლის ნაყოფიერებასა და ყვა-

ვილებს ანადგურებს, ყველაზედ მეტად ^{ქვეყნის} ^{მშვენიერებას} ^{მე} არა ერთი და ორი მავალითი მინახავს ამ მიზეზით დასახიჩრებისა და დაღუპიერებისა, რასაც სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო ოჯახის ცხოვრება. არ ვიცი, არის თუ არა უარესი უბედურება. მე კარგად მახსოვს, როგორ გაოცებით ეკითხებოდნენ ერთი-ერთმანერთს ერთი ჩემი მეგობრის ცოლის შესახებ, როგორ საოცრად იქცევიო, რა მიზეზიო, რომ ზოგჯერ ასე გულ გრილად გვეჩვენება და სულელს ემგზავსებაო? როგორაა, რომ ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ ძალზედ მზიარულიაო? ძნელი არაა ამ მიზეზების გამოცნობა. თუმცა ის დედაკაცი უმაღლეს წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ სმა მიანც ძალიან უყვარდა.

მე ვიცნობდი ერთ ახალ-გაზდას, რომლის მდგომარეობა ყველასათვის სანატრელი იყო, მუდამ მზიარული და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ როდესაც მან შეერთო განუვიტარებელი, ანხელი და თავმოყვარე დედა-კაცი და ველარ გაუძლო და აიტანა მისი სიმძაფრე, ლოთობის გზას დაადგა. თანდა თან იღებდა ვაღს, დაჰკარგა ნდობა, ველარ გაუესწორა სამიკრტოებს, ჩავარდა სირცხვილში და სისაწყულში, დაღარიბდა თითონაც და ეს სისაწყულე — სიღატაკე შეილებსაც უანდერძა.

მახსოვს ერთი პატოსანი მუშა, რომელიც კრემლებთან ამბობდა, რომ მეტი გზა აღარ მაქვს, უნდა დავსტაყო სახლ-კარი, გამოვეთხოვო მიდამოს, გაეყო ცოლს, რომელიც თან და თან მითხრის სამარეს, მაგდებს ვალში. და რომელსაც არა ერთხელ და ორხელ დაუტეხია ჩემს თავზედ უბედურება, აურევ-დაურევია ჩემი საქმე, გაუყიდნია ღვინოში, რაც კი სახლში მომეპოვებოდა, გამოუჩენია მრავალი სამარცხვიო საქციელი, ასე რომ თუ კიდევ ამ გვარი მდგომარეობა გაგრძელდა, ჩემს დღეში წელს ველარ წამოვიღებო.

ვიცი კიდევ ერთი მშვენიერი, ახოვანი ყმაწვილი, რომელიც ერთხელ მოვიდა ჩემთან და რჩევა მოხოვა, თუ რა ღონე ეხმარა ცოლის წინაღმდეგ, რომელიც ქმრის სამსახურში ყოფნის დროს ავირავებდა თურმე თავის ტანთსაცმელს, ბავშვების ჩეჭმებს და ლოთობას ეძლეოდა, ხოლო შევილებს კი სკოლაში წასასვლელ ანგარიშსაც არ უნარჩუნებდა. მე ამ დარიგებას ვაძლევ ახალ-გაზდას: „თუ თქვენ და თქვენი ცოლები მემთვარაღენი არა ხართ, მაშინ თქვენი მომავალი ცხოვრების სანდლი მრთელია, გარეშემოზღუდული, და აცილებული კლდეებს, რომლებზედაც მრავალი ბედნიერება შეწარცხებულა.

მლ. ჩხა ძე.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილ- ზნობაზე

7 აზიზობოს.

უკეთუ ვისმეს არა უნებს საქმის,
ნუცა ჰხებან. (თესალ. 3, 10).

ასე გვეუბნება სახელმწიფო მეცნიერება; ამასვე გვიბრძანებს სიტყვა ღვთისა. ხან-დის-ხან ღვთის მოშიშობა მუქთა-მჭამელობას მფარველობას უწევდა, მაგრამ ასეთი ცრუ ღვთის-მოშიშობას უარსა-ჰყოფს ქრისტიან სარწმუნოება. ვინც ჭეშმარიტად ღვთის მოშიში და მოაწმუნეა, ის შრომის მოყვარეც არის. იმას ცოდავად მიაჩნია სხვისი შრომით ცხოვრება, როცა თვითონ შეუძლია იზოგოს დუკმა პური. ამის მაგალითებს წარმოგიდგენენ ეველა განდევნილი — დავწლით შემოსილი მამანი, და მათ შორის ისინიც კი, რომელნიც მოწოდებულნი იყვნენ დიდი საქმეების შესასრულებლად ანუ რომელნიც გართულნი იყვნენ უზენაესი საგნების გამოკვლევით, რომელთაც ერთის შეხედვით არც კი ჰქონდათ დრო დუკმა პურის მოსაპოვებლად. მაგრამ ვის მიუძღვის უმეტესი დავწლი, თუ არა შავლე მოციქულს? ეველა ეგვიპტიის შესახებ ზრუნვა, როგორც თვითონ ამბობს, მას აწვა კისერზე, მაგრამ შეხედეთ, თუ საიდან მოიბადი საზრდოს? ნუ თუ მისთვის, რომელიც მოციქული იყო მთელი ქვეყნის ხადხისა, ქვეყნის არ შეეძლო მიეცა საზრდო! მაგრამ იგი მუქთად არა სჭამს სხვის პურს. აი რას ამბობს იგი თავის თავზე: «და არცადა ცუდად პური ვისგანმე ესჭამეთ, არამედ შრომითა და რუდუნებითა დამე და დდე ვქმოდით, რათა არავის თქვენ-განსა დუემძიოთ» (2 თესალონ. 3, 8), და ეველაზე უფრო ის არის საკურადდებო, რომ დდიურ საზრდოზე ზრუნვა ვერ აბრკოლებს მოციქულის უმთავრეს საქმეს, მსოფლიო ქად-გებას, მოციქულობას; პირიქით საზრდოზე ზრუნვა ეხმარება მის უმთავრეს საქმეს. ვინაი-

დან დდიური საზრდოს მოსაპოვებლად დაძვებს, ე. ი. იმ დროს, როცა თავისუფალი ქადგებისაგან, ხოლო მეორეს მხრით ეკონომიური დამოუკიდებლობის მეორებით მოციქული უფრო თავისუფლად ასრულებს თავის უმთავრეს საქმეს: ის არავისგან არ არის დავალებული, ამიტომაც ეველაზე ერთ-გვარი უფლებით მოქმედებს. მისი უანგარობა ეველგან თავისუფლად შეხვლის ნებას აძლევს მას, — და სიტყვა ღვთისა, რომელიც ითესება წმიდა ხედით, იზრდება და იდრდება.

ძველის დროის დიდათ დავწლით შემოსილი მამათა გვიჩვენებს, რომ უზენაეს საგანთა გამოკვლევის დროსაც შესაძლებელია დდიური საზრდოსათვის ზრუნვა, და ეს უკანასკნელი კიდეც ეხმარება პირველს. ვინ აწოდებდა საზრდოს ევეთმეებს, თეოდოსიებს, საბაებს, რომელთა სავანეები ძმათა სიმრავლით ქალაქებს ადგამებოდნენ და ეს ძმანი ბინადრობდნენ სირიის სილა ადგილებში? — იმპერატორები, ნაიბები? არა; მათ საზრდოებდა მათი საკუთარი ხედები, ის ხედები, რომელნიც მედამ ადვლე-ლიდნი ჰქონდათ ცისადმი. შესაულებლად თუ არა ღვთის-მსახურებას, ასიწლის მოხეცი იჯდა თავის კელიის კარებზე და წნავდა კალათს; გვირის რომელიმე დდეს ძმან მიჰქონდა ნამუშევარი ალიქსანდრიაში ანუ ანტიოქიაში და ნაცვლად მიჰქონდა პური და ოსის შეჭამადი მეორე გვირიაკში საზრდოდ. ასე საზრდოობდნენ ისინი, რომელთა დირსი არ არის მთელი ქვეყანა. ასეთი ცხოვრება სრულყოფილად ხელს არ უშლის ღვთის ვედრებას და სასულიერო საგნებზე ცდას. ფიზიკური შრომის შემდეგ, სელი უფრო მომეტებულად მიიზიდვის იქით, სადაც «არა არს მუხარება და ურვა». პირიქით უსაქმობა მამინვე ასუსტებდა და, ბოლოს, სრულიად სპობდა განდევნილ ცხოვრებას. ამიტომაც ღვთის მოსავ მამათა უდიდესი პირნი საუკეთესოდ რასხდნენ მონანებითი დოცვა დაწყოთ შემდეგი თხოვნით: «სულსა უქმობისასა ნუ მიმცემ მე».



რედაქციის პასუხი.

მდ. ლ. თეთრაძეს, ბოდიშს ვიხდით თქვენთან, რომ ამდენი ხანი გაზეთი არ მოგდიოდა ჩვენის შეცდომით.

სამსონ ხორავას, წინდობის წაკითხვა აღკრძალულია მკორე-წლოვანზე და სრულ-წლოვანზედაც.

განსხვავებანი.

აღლისუბნის მეთრე კლასიანი სასწავლებლი-საკან.

აღლისუბნის მეორე კლასიანი სასწავლებელი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ თხოვნები ამ კლასში შესასვლელად დაიწყება 25 აგვისტოდან და გაგრძელდება 5 სექტემბრამდისინ ამა 1898 წლისა. თხოვნებებმა თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მეტრიკული გამოწერილობანი თავიანთ წლოვანებზე. სწავლებისათვის ამა კლასში ფულს არ ახდევინებენ; მხოლოდ მშობლები ვალდებული არიან თავიანთი შვილები თავის ხარჯით შეინახონ მცხოვრებლებთან.

იმერეთის საგნარქიო წმინდა სანთლის ქარხნის კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იგი (კომიტეტი) ეიდულობს ცვილ-სანთელს ზირველ ხარისხისას ოცდაორ მანეთად და ათ მაურად, ხოლო უფრო მდარეს — ცოტა ჭუჭყიანს — ნაკლებ ფასათ. გამსვიდეველთ შეუძლიათ მოიტანონ თვისი საქონელი ქალაქ ქუთაისში, წმინდა სანთლის საწუბოში, მთავარ-ანგელოზის სობოროს გვერდით, მიღება საქონლისა წარმოებს ყოველდღე დილის 9 საათიდან — 12 საათამდის.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ლ. ლაშაშვიძე.

ქალ-ვაჟთა სკოლა ელენე ლუკას ასულის ბასტამისა დ. ხონში, ზირველ სექტემბრიდან ამა 1898 წლისა, ნებართვითა ბ. კავკასიის სამოსწავლო ოჯიქის მხრუველისა, კადაკეთებულ იქნება ქალების სასწავლებლათ ოთსკლასიან პროგიმნაზიის კურსით. მოსწავლეთა გამოცდა უმცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე ზირველ პროგიმნაზიულ კლასებში გავრემდეება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგ საშენები იქნება ყოველ დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის. ოსოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის — ელენე ბასტამის სახელაბაზე. სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მანეთი წელიწადში.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალითერატურო განმარტობა: საგანგებო კრება უწ. სინოდთან სამრევლო-საეკლესიო სკოლების შესახებ. — სოფლის სახალხო სკოლების მასწავლებელთა აღმზრდელიობითი მნიშვნელობა. — საპედაგოგო კურსები გურია-სამეგრელოსი ეპარქიის საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის მარტვილში. — მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა მოზრძანება მოსკოვში 15 აგვისტოს და მოსკოვის დღესასწაულებანი იმპერატორის ალექსანდრე მეორის ძველის კურთხევითა გამო. — არქიმანდრიტის კირიონის ეპისკოპოსად სახელდება და კურთხევა. — წერილი პეტერბურგიდან. — სამღვდელოების საყურადღებოდ. — ოჯახის კერა, მამაკაც და დედაკაცი. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავალა და მცენიერება ძრისტიანობაჲს სარწმუნო-ბასა და ძმითღ-წმინდობაჲს: უკველ ეისებს არა უნებს საქმის, ნუკა ჰსკან. (თესალ. 3, 10).

რედაქციის პასუხი, — განცხადება.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 августа 1898 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л и с в.

Типог. редакцїи журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.